საქპატენტი
SAKPATENTI

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2011

# წლიური ანგარიში
# ANNUAL REPORT
# 2011

თბილისი 2012 TBILISI

# შინაარსი
# TABLE OF CONTENTS


წინასიტყვაობა
PREFACE ........ 4

ორგანიზაციის შესახებ
ABOUT ORGANIZATION ........ 8

გამოგონებები
INVENTIONS ........ 12

სასარგებლო მოდელები
UTILITY MODELS ........ 18

დიზაინი
DESIGN ........ 23

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვა
PROTECTION OF NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS ........ 31

სასაქონლო ნიშნები
TRADEMARKS ........ 35

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები
APPELLATIONS OF ORIGIN OF GOODS ........ 47

საავტორო უფლებები
COPYRIGHT ........ 50

დავები
DISPUTES ........ 53

კანონშემოქმედება
LAWMAKING ........ 56

საერთაშორისო ურთიერთობები
INTERNATIONAL RELATIONS ........ 59

მრავალმხრივი ხელშეკრულებები
MULTILATERAL AGREEMENTS ........ 78

ორმხრივი ხელშეკრულებები
BILATERAL AGREEMENTS ........ 80

მემორანდუმები ორგანიზაციებთან
MEMORANDUMS WITH ORGANIZATIONS ........ 83

საინფორმაციო საქმიანობა
INFORMATION ACTIVITY ........ 84

ვებგვერდი
WEBPAGE ........ 84

საგამომცემლო საქმიანობა
PUBLISHING ACTIVITY ........ 86

ბიბლიოთეკა
LIBRARY ........ 92

ინფორმაციული ტექნოლოგიები
INFORMATION ACTIVITY ........ 95

ღონისძიებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა
EVENTS & PUBLIC RELATIONS ........ 99

სტატისტიკური მონაცემები
STATISTICAL DATA ........ 107

# წინასიტყვაობა

# PREFACE

თანამედროვე, ცივილიზებულ მსოფლიოში აღარავინ დაობს იმაზე, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, დაფიქსირებული მზარდი ეკონომიკური მაჩვენებლების, განხორციელებული ინვესტიციებისა და ადგილობრივი პროდუქციის წარმოების უპრეცენდენტო ზრდის პირობებში, ყოველდღიურად მატულობს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსურველთა რიცხვი. ამ მისასალმებელ ტენდენციასთან ერთად, დღითი დღე იზრდება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს, პასუხისმგებლობა განსაზღვროს და განავითაროს საქმიანობის ის მიმართულებები, რომელიც აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის თანამედროვე, ურყევი სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოსთვის, როგორც უძველესი კულტურისა და ინტელექტუალური რესურსის მქონე ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ქართული ღვინო და ტრადიციული პროდუქტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში და ხშირია ქართული



In the world of today, there is no argument that the protection of intellectual property is a major prerequisite for the development of a country. This opinion is reinforced by the fact that Georgia, with its ever-growing economy, investments and unprecedented growth of local production in recent years, sees the daily increase of number of persons willing to seek protection of intellectual property rights. This commendable trend requires increasing responsibility of the National Intellectual Property Center of Georgia for defining and developing initiatives necessary for the establishment of modern, stable system of protection of intellectual property, in line with its mandate as a state policy maker in the area of intellectual property.

For Georgia, as a country with ancient culture and intellectual resources, protection of Georgian appellations of

დასახელებებით ნიშანდებული პროდუქციის ფალსიფიკაციისა და ამ დასახელებების უკანონო გამოყენების ფაქტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, 2011 წელს განხორციელდა არაერთი ღონისძიება: საქპატენტმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განაცხადების საფუძველზე, დაიწყო 14 დასახელების ქართული ყველის, 3 მინერალური წყლის, მაწვნის, ჩურჩხელისა და ჭაჭის ადგილწარმოშობის დასახელებებად და გეოგრაფიულ აღნიშვნებად რეგისტრაციის პროცესი; უმნიშვნელოვანესია, რომ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, 2011 წლის 14 ივნისს ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოსა და ევროკავშირს შორის სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ". აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, შეიქმნა დამატებითი საერთაშორისო მექანიზმი ევროკავშირის ტერიტორიაზე ქართული დასახელებების დაცვისა და მათი უკანონო გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ამავე შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიაზე დაცული იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების გეოგრაფიული აღნიშვნები.

მნიშვნელოვანია, რომ 2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საქპატენტს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სხვა სახელმწიფოებში რეგისტრაციისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. ამ უფლებამოსილების ფარგლებში, საქპატენტი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა დსთ-ს სივრცის ქვეყნებთან გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მექანიზმების შემუშავების მიზნით.

origin and geographical indications, both in the country and abroad, is a major priority. This is highly relevant since Georgian wine and traditional products enjoy remarkable recognition and popularity in many markets, thus leading to rampant counterfeiting of products marked by Georgian appellations and illegal use of these appellations.

Voicing these concerns, 2011 saw a number of steps taken in this direction: Sakpatenti, on the basis of the application submitted by the Ministry of Agriculture of Georgia, started the registration process of 14 Georgian cheeses, 3 mineral waters, "Matsoni", "Churchkhela" and "Chacha" as appellations of origin and geographical indications. It is very important that, as a result of lengthy negotiations, the "Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs" was signed. The Agreement has set up an additional international mechanism for the protection of Georgian appellations on the EU territory and prevention of their unauthorized use. By virtue of the same Agreement, geographical indications of the EU member states will be protected on the territory of Georgia.

It is noteworthy that legislative amendments undertaken in 2011 have enabled Sakpatenti to implement necessary measures for registration and protection of appellations of origin and geographical indications registered in Georgia in other states. This authorization allowed Sakpatenti

გასული წელი მნიშვნელოვანი იყო ინოვაციების ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების თვალსაზრისითაც. საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრის დაფუძნების მიზნით. მსგავსი ტიპის ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ შევისწავლეთ გერმანიის, ისრაელისა და აშშ-ს გამოცდილება და ვიმედოვნებთ, რომ ყველა დაინტერესებული უწყების აქტიური ჩართულობით, ცენტრის მუშაობა საქართველოშიც წარმატებული იქნება.

ვინაიდან, ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში ჩვენი საზოგადოების ინფორმირებულობა ჯერ კიდევ დაბალია, საქპატენტისათვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ამ სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. საქპატენტი გასულ წელსაც აქტიურად ატარებდა კამპანიებს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად. ამ მიზნით ჩატარებული ღონისძიებები ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების ყველა მიმართულების განვითარებას. აღნიშნული, პირველ ყოვლისა, გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას თუ როგორ მოიპოვონ უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე და დაიცვან ისინი, როგორ მოახდინონ უკვე არსებული უფლების რეალიზაცია და რაც ყველაზე მთავარია, როგორ წარმართონ თავიანთი საქმიანობა ისე, რომ არ დაარღვიონ მესამე პირების უფლებები.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მიუხედავად დამოუკიდებელ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრე-

to pursue negotiations with the CIS countries for the purpose of developing mechanisms for the protection of geographical indications.

Last year was a remarkable breakthrough toward promotion of innovation. Sakpatenti cooperated actively with the German International Cooperation Society (GIZ), universities and other educational institutions for the purpose of establishing a technology and innovation transfer center, based on successful experience of other states such as Germany, Israel and the USA. Sakpatenti believes that the success of the Georgian innovation center will be built upon cooperation and active involvement of all interested stakeholders.

A rather low level of public awareness of intellectual property in Georgia underpins raising public awareness in this area as a major priority for Sakpatenti. Accordingly, Sakpatenti continued active public awareness campaigns on almost every aspect of intellectual property protection in 2011. This, first of all, implies informing the public on how to obtain and protect intellectual property rights, how to realize an already existing right and, most importantly, how to manage their activity to avoid infringement of rights of third parties.

The history of intellectual property protection in independent Georgia is nearing its 20-year anniversary. It is thus particularly encouraging that active public awareness campaigns, sharing

ბის დაცვის 20 წლიანი ისტორიის არსებობისა, ბოლო წლებში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარებული აქტიური კამპანიების, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ახალი პროექტების განხორციელებისა და აგრეთვე, შიდა უწყებრივი ოპტიმიზაციის შედეგად, ჩვენს საზოგადოებაში გაიზარდა მოთხოვნილება იმისა, რომ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სისტემა იყოს ისეთივე სრულყოფილი და მყარი, როგორიცაა მსოფლიოს სხვა წარმატებულ ქვეყნებში. გასულ წელს საქპატენტის მიერ განხორციელებული ყველა ღონისძიება, რომელიც წინამდებარე წლიურ ანგარიშშია წარმოდგენილი, სწორედ ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სისტემის სრულყოფისაკენ იყო მიმართული. ვიმედოვნებ, რომ 2012 წელი კიდევ უფრო წარმატებული იქნება!

international experience, improving legislation, performing internal optimizations, launching new projects and numerous other initiatives of recent years have brought an increased demand of the society for strong and stable system of intellectual property protection in Georgia, as is the case in leading markets of the world. Perfection of the intellectual property system is at the very heart of all efforts carried out by Sakpatenti last year, which are presented in this annual report. We maintain hope that the year 2012 will lead us to further success!



ირაკლი ღვალაძე
საქპატენტის თავმჯდომარე

IRAKLI GHVALADZE
SAKPATENTI CHAIRMAN

# ორგანიზაციის შესახებ
# ABOUT ORGANIZATION

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი” არის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „საქართველოს საპატენტო კანონის” საფუძველზე. საქპატენტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც 4 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქპატენტი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

საქპატენტი განსაზღვრავს და უშუალოდ ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ინტელექტუალური საკუთრების სფეროში და წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასა (WIPO) და ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონებები, სასარგებლო მოდელები, დიზაინები, მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები, სასაქონლო ნიშნები, ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები) განაცხადების ექსპერტიზა და საქართველოს სახელმწიფოს სახელით, შესაბამისი დამცავი დოკუმენტების გაცემა. ამასთან, საქპატენტი ახორციელებს მეცნიერების, ლიტერა-

The National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti is a legal entity of public law operating independently in the area of intellectual property, set up on the basis of the ''Patent Law of Georgia''. The head of Sakpatenti is its Chairman, appointed to this post for a 4-year term by the President of Georgia. Sakpatenti is accountable to the Prime Minister.

Sakpatenti defines and carries out intellectual property policy of the state and represents Georgia in the World Intellectual Property Organization and other international organizations active in intellectual property matters.

The core function of Sakpatenti is examination of applications filed for protection of intellectual property objects (inventions, utility models, designs, new varieties of plants and breeds of animals, trademarks, appellations of origin and geographical indications) and granting respective titles of protection on behalf of the state. In addition, scientific, literary and artistic works are also deposited with Sakpatenti and certificates of deposition are granted.

ტურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დეპონირებას და გასცემს დეპონირების დამადასტურებელ მოწმობებს. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, საქპატენტი ახდენს საპატენტო ინფორმაციის მონაცემთა საძიებო ბაზების ფორმირებასა და ინფორმაციის გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ საქპატენტში ფუნქციონირებს სააპელაციო პალატა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქპატენტის თავმჯდომარე. სააპელაციო პალატა კოლეგიური წესით განიხილავს დავებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დაცვის კრიტერიუმების შესახებ.

გარდა ამისა, საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ინტელექტუალური საკუთრების სფეროს პოპულარიზაცია და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რისთვისაც ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, ატარებს სემინარებს, ტრენინგებსა და სხვა ღონისძიებებს.

By means of information technologies, Sakpatenti carries out formation of search databases and knowledge dissemination.

A Chamber of Appeals functioning at Sakpatenti, headed by Chairman of Sakpatenti, hears disputes in connection with the decisions of Sakpatenti on intellectual property objects, as well as criteria of their protection.

Along with this, one of the priority directions of Sakpatenti activities is popularization of intellectual property field and public awareness raising, for the purpose of which it is engaged in editorial activities, organizes seminars, trainings and other events.





*დამცავი დოკუმენტების გადაცემის ცერემონია*
*Ceremony of granting certificates*

# საქპატენტის სტრუქტურა
# STRUCTURE OF SAKPATENTI




CHAIRMAN
DEPUTY CHAIRMAN
PUBLIC RELATIONS AND MASS MEDIA SECTION
FINANCE DEPARTMENT
PROCUREMENT UNIT
ADMINISTRATIVE DEPARTMENT
INFORMATION TECHNOLOGIES DIVISION
EDITORIAL-PUBLISHING SECTION
LIBRARY UNIT
TRADEMARKS AND GEOGRAPHICAL INDICATIONS DEPARTMENT
INVENTIONS, DESIGN AND NEW VARIETIES AND BREEDS DEPARTMENT
INTERNATIONAL AFFAIRS AND PROJECTS MANAGEMENT DIVISION
LEGAL AND COPYRIGHT LAW DEPARTMENT
COPYRIGHT LAW PROTECTION SECTION

# გამოგონებები
# INVENTIONS

საქართველოში გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია სამი გზით. კერძოდ:

- განაცხადის წარდგენის საშუალებით უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში";
- უცხოეთში მიღებული პატენტის საფუძველზე, განაცხადის წარდგენით საქპატენტში, რაც ითვალისწინებს ე.წ. „შემოტანილი პატენტის" გაცემას უცხოეთის პატენტის მფლობელზე;
- საერთაშორისო პროცედურის მეშვეობით, რაც გულისხმობს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად, საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

გამოგონებაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ, 1992 წლის პირველი მაისიდან. 2012 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში გამოგონებაზე შემოსულია 9552 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა და გაიცა 5395 პატენტი (დაახლოებით 55%), ამათგან 2871 – ეროვნულ და 2524 უცხოურ გამოგონებაზე.

საქპატენტის არსებობის მანძილზე ყველაზე მეტი – 4794 განაცხადი შემოსულია ეროვნული პროცედურით, რაც საქპატენტში შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობის (9552 განაცხადი) თითქმის ნახევარს შეადგენს.

2011 წელს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით, საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 398 განაცხადი გამოგონებაზე, რაც მეტია

The exclusive right in an invention in Georgia may be acquired in three ways:

- By filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- On the basis of the patent obtained abroad, by filing an application directly with Sakpatenti, which implies granting the so-called "importation patent" to a foreign patent holder;
- Under the international procedure, which implies filing an international application in accordance with the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began receiving applications for inventions after it was formed as an independent unit in 1992, namely, filing applications for invention began from May 1, 1992. By January 1, 2012, 9552 applications were filed for inventions, of these 5395 ones (about 55%) were registered and patents were granted. Among these, patents were granted for 2871 national and 2524 foreign inventions.

Throughout the existence of Sakpatenti, the greatest quantity of applications were filed under the national procedure, namely – 4794 aplications, which is almost the half of the total quantity of the applications filed with Sakpatenti (9552 applications).

In 2011, 398 applications were filed for consideration with Sakpatenti both under the national and international procedures, which is more than the data of

2010 წლის მაჩვენებელზე (362 განაცხადი). აქედან, საერთაშორისო პროცედურით შემოვიდა 245 განაცხადი, ეროვნული პროცედურით კი – 153 განაცხადი, საიდანაც ადგილობრივ განმცხადებლებს ეკუთვნით 138 განაცხადი.

2010 (362 applications). Of these, 245 applications were filed under the international procedure, and 153 applications – under the national procedure, of which 138 were filed by local applicants.

### 2007–2011 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2007–2011

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 270 | 248 | 288 | 200 | 153 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 248 | 222 | 256 | 183 | 138 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 22 | 26 | 32 | 17 | 15 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 294 | 215 | 186 | 162 | 245 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 564 | 463 | 474 | 362 | 398 | TOTAL | |




### 2007–2011 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ გამოგონებაზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS FOR INVENTIONS FILED BY LOCAL APPLICANTS IN 2007-2011

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 5 | 7 | 7 | 6 | 4 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 243 | 215 | 249 | 177 | 134 | NATURAL PERSON |
| სულ | 248 | 222 | 256 | 183 | 138 | TOTAL |



## 2007–2011 წლებში შემოტანილი განაცხადების რაოდენობის განაწილება ქვეყნების მიხედვით

BREAKDOWN OF NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2007-2011 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 248 | 222 | 256 | 183 | 138 | GE (GEORGIA) |
| აშშ | 202 | 108 | 72 | 45 | 65 | US (USA) |
| იაპონია | - | - | - | 20 | 16 | JP (JAPAN) |
| იტალია | 7 | 14 | 11 | 19 | 18 | IT (ITALY) |
| საფრანგეთი | 16 | 20 | 25 | 17 | 26 | FR (FRANCE) |
| დიდი ბრიტანეთი | 14 | 14 | 8 | 10 | 8 | GB (GREAT BRITAIN) |
| გერმანია | 8 | 7 | 12 | 2 | 25 | DE (GERMANY) |
| დანარჩენი | 69 | 78 | 90 | 66 | 102 | OTHER |
| სულ | 564 | 463 | 474 | 362 | 398 | TOTAL |




უცხოელი განმცხადებლებისგან 2011 წელს 260 განაცხადი შემოვიდა. ქვეყნების მიხედვით განაწილების სურათი გვიჩვენებს, რომ უცხოელი განმცხადებლებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ამერიკელები, რომლებმაც 65 განაცხადი შემოიტანეს.

უცხოური განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილების შესაბამისი დარგების მიხედვით განაწილების ანალიზი აჩვენებს, რომ გამოგონებათა ყველაზე მეტი რაოდენობა C განყოფილების შესაბამის დარგებზე (ქიმია

In 2011, 260 applications were filed by foreign applicants. The breakdown according to countries shows that among the foreign applicants the most active were applicants from the USA, who filed 65 applications.

The analysis of breakdown of local applications according to branches of the International Patent Classification shows that the largest quantity of inventions was in the branches corresponding to

## 2007–2011 წლებში შემოტანილი უცხოური განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

NUMBER OF FOREIGN APPLICATIONS FILED IN 2007-2011 ACCORDING TO BRANCHES

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 94 | 68 | 67 | 47 | 82 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 16 | 22 | 7 | 16 | 11 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 112 | 117 | 119 | 94 | 127 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 8 | 9 | 9 | 6 | 18 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 5 | 6 | 10 | 3 | 8 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 17 | 7 | 3 | 8 | 12 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 64 | 12 | 3 | 5 | 2 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 316 | 241 | 218 | 179 | 260 | TOTAL |




და მეტალურგია) მოდის და საერთო რაოდენობის დაახლოებით 49%-ს შეადგენს. გასულ წელთან შედარებით ამ დარგში განაცხადებმა მოიმატა დაახლოებით ორჯერ. ასევე, წინა წელთან შედარებით სამმაგი ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა E ჯგუფის (მშენებლობა; სამთო საქმე) განაცხადებზე.

ყველაზე დაბალი რაოდენობრივი მაჩვენებლით (2 განაცხადი) წარმოდგენილია H ჯგუფი, რომელიც მოიცავს ელექტრო-ტექნოლოგიებს.

Section C (chemistry, metallurgy) – about 49% of the total number. As compared with the previous year, the number of applications in this branch increased about twice. High index was also recorded for Section E (building; mining), which increased threefold as compared with 2010 data.

The index was the lowest for Section H (electricity), represented by 2 applications.

## 2007–2011 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

### NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2007-2011 ACCORDING TO BRANCHES

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 75 | 76 | 87 | 60 | 29 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 48 | 41 | 44 | 34 | 27 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 30 | 20 | 28 | 14 | 18 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 0 | 3 | 0 | 0 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 23 | 10 | 19 | 15 | 16 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 42 | 36 | 42 | 41 | 33 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 20 | 20 | 20 | 8 | 4 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 10 | 19 | 13 | 11 | 11 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 248 | 222 | 256 | 183 | 138 | TOTAL |




უცხოურისგან განსხვავებით, ადგილობრივ გამოგონებათა უმეტესობა მიეკუთვნება F (მექანიკა), B (ტექნოლოგიური პროცესები) და A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) განყოფილების შესაბამისი დარგების თითქმის ნახევარს.

2011 წელს საქპატენტის მიერ გაცემულია 237 პატენტი გამოგონებაზე, ამასთან, ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით გაცემული პატენტების რაოდენობა თითქმის თანაბარია.

2007-2011 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე (იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე) რეგისტრირებული გამოგონების პატენტების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ ბოლო წლების მანძილზე ამ მხრივ არსებით ცვლილებებს ადგილი არა აქვს.

Unlike the foreign ones, the majority of local inventions belongs to Section F (mechanical engineering), Section B (performing operations) and Section A (human necessities) to almost half of relevant sections.

In 2011 Sakpatenti granted 237 patents for inventions, at the same time, it should be noted that the number of patents granted under the natioanal and the international procedures is almost equal.

The number of patents for inventions registered in 2007-2011 in the name of local applicants (legal entities and natural persons) demonstrates there are no essential changes in this respect during the last years.

## 2007–2011 წლებში რეესტრში შეტანილი პატენტების რაოდენობა

NUMBER OF PATENTS ACCORDING TO THE REGISTER OF 2007-2011

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 155 | 169 | 179 | 140 | 121 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 130 | 141 | 147 | 129 | 106 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 25 | 28 | 32 | 11 | 15 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 116 | 128 | 114 | 118 | 116 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 271 | 297 | 293 | 258 | 237 | TOTAL | |




## 2007–2011 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების სახელზე რეგისტრირებული გამოგონების პატენტების რაოდენობა

NUMBER OF PATENTS FOR INVENTIONS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS IN 2007-2011

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 8 | 7 | 2 | 1 | 6 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 122 | 134 | 145 | 128 | 100 | NATURAL PERSON |
| სულ | 130 | 141 | 147 | 129 | 106 | TOTAL |




2011 წელს საქპატენტში, როგორც „მიმღებ უწყებაში", მიღებული იყო და საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 7 განაცხადი, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბიულეტენში.

2012 წლის 1 იანვრამდე საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 89 განაცხადი.

In 2011, 7 applications were filed with Sakpatenti as the "receiving office". They were sent to the International Bureau and are already published in the International Bulletin.

By January 1, 2012, in total 89 applications were sent to the International Bureau.

# სასარგებლო მოდელები
# UTILITY MODELS

„საქართველოს საპატენტო კანონის" შესაბამისად, საქართველოში სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება შესაძლებელია ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც მოიცავს საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულების (PCT) შესაბამისად საერთაშორისო განაცხადის წარდგენას.

საქპატენტში სასარგებლო მოდელზე განაცხადის მიღება დაიწყო 1992 წლიდან. 2012 წლის პირველი იანვრისათვის სულ შემოსულია 2222 განაცხადი. აქედან, გაიცა 1671 პატენტი, რაც 75%-ს შეადგენს.

ამასთან, საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების საერთო რაოდენობიდან ეროვნული პროცედურით შემოტანილი იყო 2209 განაცხადი, საიდანაც პატენტი გაიცა 1664 სასარგებლო მოდელზე.

აღსანიშნავია, რომ გამოგონებისაგან განსხვავებით, სასარგებლო მოდელზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება პრაქტიკულად მხოლოდ ეროვნული პროცედურით ხდება და წლების მიხედვით მათი საერთო რაოდენობა დაახლოებით 60-დან 120-ს შორის მერყეობს. 2011 წლის მონაცემებით, შემოსულია 78 განაცხადი, რაც წინა წელთან შედარებით 18 განაცხადით მეტია.

In Georgia an exclusive right in a utility model may be acquired under the Patent Law of Georgia in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti";
- Under the international procedure, which implies filing an international application with the International Bureau under the Patent Cooperation Treaty (PCT).

Sakpatenti began to receive applications for utility models in 1992. By January 1, 2012, in total 2222 applications were filed, of these, patents were granted for 1671, which is 75%.

Along with this, of the total number of filed applications 2209 applications for utility models were filed under the national procedure, of these, patent were granted for 1664 ones.

It is noteworthy that unlike inventions, exclusive rights in utility models are acquired practically only by the national procedure and from year to year the total number of applications varies within 60 and 120, and by the data of 2011, 78 applications were filed.

### 2007–2011 წლებში შემოსული განაცხადების რაოდენობა
### NUMBER OF APPLICATIONS FILED IN 2007–2011

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 99 | 113 | 107 | 60 | 76 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 97 | 110 | 106 | 59 | 70 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 2 | 3 | 1 | 1 | 6 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 99 | 113 | 107 | 60 | 78 | TOTAL | |




2011 წელს საერთაშორისო პროცედურით სასარგებლო მოდელზე შემოსულია მხოლოდ 2 განაცხადი.

2007-2011 წლებში ადგილობრივი განაცხადების საერთაშორისო კლასიფიკაციის განყოფილებების დარგების მიხედვით განაწილების მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ სასარგებლო მოდელზე განაცხადების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის A განყოფილებას მიკუთვნებულ შესაბამის დარგებზე, როგორიცაა: მედიცინა და ვეტერინარია; სურსათი და საკვები პროდუქტები; სოფლის მეურნეობა, და საერთო რაოდენობის დაახლოებით 60%-ს შეადგენს. სხვა დანარჩენი ჯგუფები კი ერთნაირი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი.

In 2011 only 2 applications for utility models were filed with Sakpatenti under the international procedure.

As is obvious from analysis of the data of the breakdown of branches of local applications according to Sections of the International Classification in 2007-2011, the largest quantity of applications for utility models was in the branches corresponding to Section A: medicine or veterinary; food or foodstuffs; agriculture, which is about 60% of the total number. Other groups are represened by similarly small number.

## 2007–2011 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა დარგების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED FOR INVENTIONS IN 2007–2011 ACCORDING TO BRANCHES

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| A (ადამიანის პირველადი მოთხოვნილების საგნები) | 37 | 50 | 50 | 34 | 47 | A (HUMAN NECESSITIES) |
| B (ტექნოლოგიური პროცესები) | 10 | 10 | 12 | 4 | 3 | B (TECHNOLOGICAL PROCESSES) |
| C (ქიმია; მეტალურგია) | 17 | 17 | 14 | 4 | 3 | C (CHEMISTRY; METALLURGY) |
| D (საფეიქრო ნაწარმი) | 0 | 2 | 0 | 0 | 1 | D (TEXTILES) |
| E (მშენებლობა; სამთო საქმე) | 9 | 14 | 10 | 5 | 3 | E (BUILDING; MINING) |
| F (მექანიკა) | 12 | 6 | 4 | 6 | 4 | F (MECHANICAL ENGINEERING) |
| G (ფიზიკა) | 9 | 9 | 10 | 3 | 4 | G (PHYSICS) |
| H (ელექტრობა) | 3 | 2 | 6 | 3 | 5 | H (ELECTRICITY) |
| სულ | 97 | 110 | 107 | 59 | 70 | TOTAL |




როგორც 2007-2011 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, 2011 წლის მაჩვენებლებით აღსანიშნავია ფიზიკური პირების განაცხადების საერთო რაოდენობის ზრდა, რომელიც ჯვლავ გაცილებით აღემატება იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობას.

2011 წელს სასარგებლო მოდელზე გაიცა 53 პატენტი.

As the number of applications for utility models filed with Sakpatenti in 2007-2011 by local applicants (legal entities and natural persons) demonstrates, by the data of 2011 the increase of the total number of applications of natural persons is noteworthy, which again exceeds several times the number of applications filed by legal entities.

In 2011, 53 patents were granted for utility models.

## 2007–2011 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში სასარგებლო მოდელზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FOR UTILITY MODELS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2007-2011

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 8 | 13 | 12 | 2 | 8 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 89 | 97 | 94 | 57 | 62 | NATURAL PERSON |
| სულ | 97 | 110 | 106 | 59 | 70 | TOTAL |




## 2007–2011 წლებში ადგილობრივ განმცხადებლებზე (იურიდიული და ფიზიკური პირები) რეგისტრირებული სასარგებლო მოდელების პატენტების რაოდენობა

NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL APPLICANTS (LEGAL ENTITIES AND NATURAL PERSONS) IN 2007-2011

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 4 | 5 | 11 | 6 | 12 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 76 | 67 | 97 | 48 | 39 | NATURAL PERSON |
| სულ | 80 | 72 | 108 | 54 | 51 | TOTAL |



## 2007–2011 წლებში რეესტრში შეტანილი სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობა

NUMBER OF PATENTS FOR UTILITY MODELS ENTERED IN THE REGISTER IN 2007-2011

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 81 | 74 | 110 | 55 | 52 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 80 | 72 | 108 | 54 | 51 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 81 | 74 | 110 | 55 | 53 | TOTAL | |



# დიზაინი
# DESIGN

საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით:

- ეროვნული პროცედურით, რაც მოიცავს „დიზაინის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განაცხადის უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში" წარდგენას;
- საერთაშორისო პროცედურით, რაც მოიცავს ჰააგის შეთანხმების შესაბამისად, დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, დაცვის უფლებების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების მოთხოვნას.

ეროვნული პროცედურით სამრეწველო ნიმუშების რეგისტრაციის მოთხოვნით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო 1992 წლიდან, დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შემდეგ.

2010 წლის 24 ივნისიდან ძალაში შევიდა „დიზაინის შესახებ" საქარველოს კანონი. ახალმა კანონმა დაამკვიდრა ცნება „დიზაინი", რომელმაც ჩაანაცვლა ცნება „სამრეწველო ნიმუში". აღნიშნული კანონი ითვალისწინებს საქპატენტში შემოტანილი განაცხადის ექსპერტიზას, რომლის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება დიზაინის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური მოთხოვნებისა და არსობრივი ექსპერტიზის ჩატარებას და სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას სამთვიანი პერიოდით. ამასთან, განაცხადის

In Georgia it is possible to acquire exclusive right in a design in two ways:

- Under the national procedure, which implies filing an application directly with the National Intellectual Property Centre of Georgia Sakpatenti according to the Law of Georgia on Design;
- Under the international procedure, which implies requesting extension of protection to the territory of Georgia according to the Hague Agreement on the basis of international registration of a design.

Sakpatenti began receiving applications requesting registration of industrial designs under the national procedure after its formation as an independent structural entity in 1992.

On June 24, 2010 the new Law of Georgia on Design came into force. The new Law established the concept of "design"



ექსპერტიზის პროცედურა დაახლოებით 6 თვიდან – 1 წლამდე ვადას მოითხოვს.

1992 წლიდან 2012 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში დიზაინის/სამრეწველო ნიმუშის[1] რეგისტრაციაზე ეროვნული პროცედურით სულ შემოვიდა 677 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 480, რაც 71%-ს შეადგენს.

ახალი კანონი „დიზაინის შესახებ" საშუალებას აძლევს ადგილობრივ და უცხოელ განმცხადებელს მოითხოვოს საქპატენტში შემოტანილი განაცხადის განხილვა და დიზაინის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით, რომელიც ზემოხსენებულ ვადებს 10 სამუშაო დღემდე ან 1 თვემდე ამცირებს („დიზაინის შესახებ" კანონის 22-ე მუხლი). საქპატენტში კანონის მიღებიდან 2011 წლის ბოლომდე დაჩქარებული პროცედურით შემოვიდა და დარეგისტრირდა 12 განაცხადი დიზაინზე.

ეროვნული პროცედურისაგან განსხვავებით, საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით შეტყობინების მიღება დაიწყო 11 წლით გვიან, 2003 წლის ნოემბრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც 2003 წელს საქართველო მიუერთდა დიზაინის საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების ჰააგისა (1960 წ.) და ჟენევის (1999 წ.) აქტებს. 2003-2011 წლების პერიოდის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა 2153 ერთეულს შეადგენს, საიდანაც დაცვა მიენიჭა 2093 განაცხადის დიზაინებს/სამრეწველო ნიმუშებს, რაც 97%-ს შეადგენს.

which replaced the term "industrial design".

The law provides for examination of the application filed with Sakpatenti, on the basis of which, a decision is taken concerning the registration of the design. Along with this, the examination procedure includes confirmation of the filing date, carrying out examination as to formal requirements and substantive examination and publication in the bulletin of industrial property for a three-month period. The examination procedure takes a period from 6 months to 1 year.

From 1992 to January 1, 2012, in total 677 applications for design/industrial designs)[1] registration were filed with Sakpatenti under the national procedure, of which 480 ones were registered, which is 71%.

The new Law on Design enables an applicant to request application processing and design registration by the accelerated procedure, which reduces the above-mentioned terms to 10 working days (Article 22, Law of Georgia on Design). From the date of the enacting the Law to the end of 2011, 12 design application were filed and registered under the accelerated procedure.

Unlike the national procedure, Sakpatenti began receiving notifications on the basis of international registrations requesting extension of protection to the territory of Georgia under the Hague Agreement 11 years later. at the end of 2003, after the accession of Georgia to the Hague Act (1960) and the Geneva Act (1999) of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs in 2003. According to the data of 2003-2011, the number of international registrations requesting extension to Georgia is 2153, of which protection was granted to 2093 applications for designs, which is 97%.

---

1 2010 წლის 24 ივნისამდე (ახალი კანონის ამოქმედებამდე) რეგისტრირებულ განაცხადებთან დაკავშირებულ მონაცემებში იგულისხმება სამრეწველო ნიმუშები.

The data in connection with applications registered before June 24, 2010 (enactment of the new Law), imply industrial designs.

## 2007–2011 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI IN 2007-2011 UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURES

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 56 | 55 | 67 | 47 | 46 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 41 | 38 | 49 | 39 | 39 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 15 | 17 | 18 | 8 | 7 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 309 | 311 | 204 | 186 | 190 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 365 | 366 | 271 | 233 | 236 | TOTAL | |




2011 წელს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 236 განაცხადი დიზაინზე, რაც 1%-ით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე (233 განაცხადი დიზაინზე). აქედან, ეროვნული პროცედურით შემოვიდა 46 განაცხადი, ხოლო საერთაშორისო პროცედურით – 190 განაცხადი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავდა 771 განსახილველ დიზაინს.

2011 წელს ეროვნული პროცედურით საქპატენტში დიზაინზე შემოტანილი განაცხადებიდან 39 შემოტანილი იყო ადგილობრივი განმცხადებლის მიერ, რაც საერთო რაოდენობის 16,5%-ს შეადგენს, ხოლო 7 შემოტანილი იყო უცხოელი განმცხადებლის მიერ, რაც საერთო რაოდენობის 2,5%-ს შეადგენს.

In 2011, 236 applications for designs were filed with Sakpatenti under the national and international procedures, which is by 1% more as compared with the number of the 2010 data (233 applications for designs). Of these, 46 applications for designs were filed under the national procedure, and 190 applications for designs were filed under the international procedure, which included 771 designs to be considered.

Of the applications filed with Sakpatenti under the national procedure in 2011, 39 design applications were filed by local applicants, which is 16.5% of the total amount, and 7 design applications were filed by foreign applicants, which is 2.5% of the total number.

ეროვნული პროცედურით შემოსული უცხოელი განმცხადებლის 7 განაცხადი ქვეყნების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| დიდი ბრიტანეთი | – 2 |
| აშშ | – 2 |
| რუსეთი | – 1 |
| ჩინეთი | – 1 |
| ფინეთი | – 1 |

2007-2011 წლებში საქპატენტში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით შემოსული განაცხადის დინამიკა გვიჩვენებს, რომ განსახილველად მიღებული დიზაინების საერთო რაოდენობა 2007 წლიდან 2010 წლამდე მცირდებოდა, თუმცა აღსანიშნავია ისიც, 2011 წელს გაიზარდა განსახილველი განაცხადების საერთო რაოდენობა, რაც საერთაშორისო პროცედურით მიღებული განაცხადების მატების ხარჯზე მოხდა.

2007-2011 წლებში საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობა წარმოადგენს ობიექტებს, რომლებიც განეკუთვნება მე-9 კლასს (ტარა, საფუთავები, კონტეინერები) და გამოიყენება საქონლის ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის, თუმცა იყო ისეთი ობიექტებიც, როგორებიცაა: ავეჯი, სატრანსპორტო საშუალებები, კვების პროდუქტები, სამოსი და სხვ.

2007-2011 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების (იურიდიული და ფიზიკური პირები) მიერ საქპატენტში დიზაინზე შემოტანილი განაცხადების რაოდენობა გვიჩვენებს, რომ იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა საერთო რაოდენობასთან შედარებით მერყეობდა 24-53%-ის ფარგლებში, ხოლო 2011 წელს შეადგენდა 33%, რაც 2010 წელთან შედარებით 15%-ით მეტია იურიდიული პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობაზე. ამასთან,

The breakdown according to countries of the 7 applications filed by foreign applicants under the national procedure is as follows:

| | |
|---|---|
| Great Britain | – 2 |
| USA | – 2 |
| Russia | – 1 |
| China | – 1 |
| Finland | – 1 |

The dynamics of filing applications for designs filed with Sakpatenti under the national procedure and on the basis of the international registration in 2007-2011 shows that the total number of designs received for consideration from 2007 to 2010 decreased, but it is noteworthy that in 2011 the total number of applications to be considered increased, which was due to the increase of the applications filed under the international procedure.

The analysis of the local applications filed with Sakpatenti in 2007-2011 shows that their majority are objects that belong to Class 9 (tare, packing, containers) and are used for transportation or handling of goods. However, there were also objects such as furnishing, means of transport, foodstuffs, clothes, etc.

The number of applications for designs filed with Sakpatenti by local applicants in 2007-2011 (legal entities and natural persons) demonstrates that the number of applications filed by legal entities varies as compared with the total number within 24-53% and in 2011 it was 33%, which is more by 15% than the percentage of applications filed by legal entities in 2010. Along with this, the number of applications filed by natural persons with respect to the total number varied between 47-76%. In 2011

## 2007–2011 წლებში ადგილობრივი განმცხადებლების მიერ საქპატენტში შემოტანილი განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS FILED WITH SAKPATENTI BY LOCAL APPLICANTS IN 2007-2011

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 15 | 9 | 26 | 7 | 13 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 26 | 29 | 23 | 32 | 26 | NATURAL PERSON |
| სულ: | 41 | 38 | 49 | 39 | 39 | TOTAL |




## 2007–2011 წლებში ადგილობრივი მფლობელების სახელზე რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა

NUMBER OF APPLICATIONS REGISTERED IN THE NAME OF LOCAL OWNERS IN 2007-2011

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურიდიული პირი | 4 | 18 | 10 | 14 | 9 | LEGAL ENTITY |
| ფიზიკური პირი | 12 | 20 | 10 | 15 | 22 | NATURAL PERSON |
| სულ | 16 | 38 | 20 | 29 | 31 | TOTAL |



ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი განაცხადების რაოდენობა საერთო რაოდენობასთან შედარებით მერყეობდა 47-76%-ის ფარგლებში, ხოლო 2011 წელს შეადგინა 67%, რაც 15%-ით მეტია 2010 წელთან შედარებით.

საერთაშორისო პროცედურით საქართველოს ტერიტორიაზე უფლებათა გავრცელების მოთხოვნით განაცხადების პრიორიტეტული დაცვის ობიექტებად კვლავ რჩება საათები და მათი საკუთნო, საიუველირო ნაწარმი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი ნაწილები. კვლავ განსაკუთრებით აქტიურობენ განმცხადებლები შვეიცარიიდან, გერმანიიდან და საფრანგეთიდან.

2011 წლის მონაცემებით, რეესტრში დარეგისტრირდა 38 განაცხადი დიზაინზე, აქედან 31 ადგილობრივი მფლობელის და 7 – უცხოელი მფლობელის სახელზე. უცხოელი მფლობელის სახელზე რეგისტრირებული 7 განაცხადი ქვეყნების მიხედვით ასე გამოიყურება:

დიდი ბრიტანეთი – 4;

აშშ – 1;

ვირჯინიის კუნძულები (ბრიტანეთი) – 1;

რუსეთი – 1.

კლასების მიხედვით ეს განაცხადები განაწილებულია შემდეგნაირად:

მე-9 კლასი (ტარა) – 2;

27-ე კლასი (მოსაწევი საკუთნო) – 4;

24-ე კლასი (სამედიცინო და ლაბორატორიული მოწყობილობები) – 1.

ადგილობრივი მფლობელის სახელზე რეგისტრირებული დიზაინები კი კლასების მიხედვით ასე განაწილდა:

მე-9 კლასი (ტარა და საფუთავები) – 11;

მე-6 კლასი (ავეჯეულობა) – 4;

პირველი კლასი (კვების პროდუქტები) – 2;

მე-19 კლასი (ნაბეჭდი პროდუქცია) – 2;

მე-12 კლასი (სატრანსპორტო საშუალებები) – 2;

this figure was 67%, which is more by 15% as compared with 2010.

Priority objects of protection with request of extension of the rights to Georgia under the international procedure again remained watches and their accessories, jewellery, means of transport and their parts. Applicants from Switzerland, Germany and France again were especially active.

According to the data of 2011, 38 applications for designs were recorded in the Register, of these 31 ones in the name of local, and 7 – in the name of foreign owners.

The breakdown of the 7 applications registered in the name of foreign owners according to countries is as follows:

Great Britain – 4;

USA – 1;

Virgin Islands (Great Briitain) – 1;

Russia – 1.

The breakdown of the design applications according to classes is the following:

Class 9 (Packages and containers) – 2;

Class 27 (Tobacco and smokers' supplies) – 4;

Class 24 (Medical and laboratory equipment) – 1.

The number of the designs registered in the Register in the name of local owners according to classes is the following:

Class 9 (Packages and containers) – 11;

Class 6 (Furnishing) – 4;

Class 1 (Foodstuffs) – 2;

Class 19 (Stationery and office equipment) – 2;

Class 12 (Means of transport or hoisting) – 2;

Class 13 (Equipment for production, distribution or transformation of electricity) – 2;

## 2007–2011 წლებში ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით მიღებული განაცხადების რაოდენობა, რომელთაც მიენიჭათ დაცვა საქართველოში

NUMBER OF PROTECTED APPLICATIONS IN GEORGIA IN 2007-2011 FILED UNDER THE NATIONAL AND INTERNATIONAL PROCEDURE

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 36 | 50 | 33 | 40 | 38 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 16 | 38 | 20 | 29 | 31 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 20 | 12 | 13 | 11 | 7 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 309 | 291 | 215 | 144 | 187 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 345 | 341 | 248 | 184 | 225 | TOTAL | |




მე-13 კლასი (მოწყობილობები ელექტრული ენერგიის მისაღებად) – 2;

და თითო განაცხადი მე-7, მე-11, მე-13; მე-15, მე-20, 25-ე და 31-ე კლასებში.

საერთაშორისო პროცედურით დაცვის უფლებით საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელდა 187 განაცხადი, რომელიც 835 განსახილველ დიზაინს მოიცავდა, რომლებიც კლასების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

მე-2 კლასი – 5
მე-3 კლასი – 9
მე-6 კლასი – 6
მე-7 კლასი – 5
მე-8 კლასი – 3
მე-9 კლასი – 24
მე-10 კლასი – 67
მე-11 კლასი – 18
მე-12-კლასი – 2
მე-14 კლასი – 13

Classes 7, 11, 13, 15, 20, 25 and 31 – 1 application for each class.

187 applications were extended to the territory of Georgia with the right of protection under the international procedure, i.e. were registered. They included 835 designs filed for consideration, the breakdown according to classes was the following:

Class 2 – 5
Class 3 – 9
Class 6 – 6
Class 7 – 5
Class 8 – 3
Class 9 – 24
Class 10 – 67
Class 11 – 18
Class 12 – 2
Class 14 – 13

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მე-15 კლასი | – 15 | Class | 15 | – 15 |
| მე-19 კლასი | – 2 | Class | 19 | – 2 |
| მე-20 კლასი | – 2 | Class | 20 | – 2 |
| 25-ე კლასი | – 4 | Class | 25 | – 4 |
| 27-ე კლასი | – 7 | Class | 27 | – 7 |
| 32-ე კლასი | – 5 | Class | 32 | – 5 |

ქვეყნების მიხედვით საერთაშორისო განაცხადები განაწილდა შემდეგნაირად:

The breakdown of applications according to countries was the following:

| | | | |
|---|---|---|---|
| შვეიცარია | – 95 | Switzerland | – 95 |
| ევროგაერთიანება | – 58 | European Union | – 58 |
| გერმანია | – 7 | Germany | – 7 |
| საფრანგეთი | – 7 | France | – 7 |
| თურქეთი | – 6 | Turkey | – 6 |
| ხორვატია | – 4 | Croatia | – 4 |
| უკრაინა | – 2 | Ukraine | – 2 |
| ლიხტენშტეინი | – 3 | Liechtenstein | – 3 |
| ესპანეთი | – 2 | Spain | – 2 |
| უნგრეთი | – 2 | Hungary | – 2 |
| ბულგარეთი | – 1. | Bulgaria | – 1. |

# მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები
# NEW VARIETIES OF PLANTS AND BREEDS OF ANIMALS

საქართველოში მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების სამართლებრივი დაცვა და მათზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონით „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 29 დეკემბერს. აღნიშნული კანონი ვრცელდება მცენარეთა და ცხოველთა ყველა გვარსა და სახეობაზე. კანონის თანახმად, მცენარისა და ცხოველის ახალი ჯიშის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებია: სიახლე, განსხვავებულობა, ერთგვაროვნება და სტაბილურობა. კანონი ითვალისწინებს საქპატენტში შემოტანილი განაცხადის ექსპერტიზას, რომლის საფუძველზე უწყება იღებს გადაწყვეტილებას მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშის რეგისტრაციის შესახებ. ამასთან, ექსპერტიზის პროცედურა მოიცავს განაცხადის შეტანის თარიღის დადასტურებას, ფორმალური ექსპერტიზის ჩატარებას, „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის" ოფიციალურ ბიულეტენში გამოქვეყნებას (პირველი პუბლიკაცია) და მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის გადაცემას გამოსაცდელად განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე.

საქპატენტში ახალ ჯიშებზე განაცხადების მიღება დაიწყო 2008 წლიდან იმ პერიოდში მოქმედი „მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" და „ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ" კანონების შესაბამისად, რომლებიც

Legal protection of new varieties of plants and breeds of animals and acquisition of exclusive rights in them occur in Georgia on the basis of the Law of Georgia "On New Breeds of Animals and Varieties of Plants", which entered into force on December 29, 2010. The Law applies to all genera and species of plants and animals. According to the Law, protectability criteria of a new animal breed/plant variety are novelty, distinctness, uniformity, and stability.

The Law provides for examination of an application filed with Sakpatenti, on the basis of which the Office takes a decision on the registration of the new plant variety or animal breed. Along with this, the examination procedure includes establishing the filing date of the application, conducting examination as to form, publication in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds (first publication) and handing over the new plant variety/animal breed for testing for distinctness, uniformity and stability.

Sakpatenti began receiving applications for new varieties/breeds in 2008 on the basis of the Laws of Georgia "For the Protection of New Varieties of Plants" and "For the Protection of New Breeds of Animals", enacted on December 29, 2006.

By January 1, 2012, in total 36 applications were filed with Sakpatenti for registration.

მიღებულ იქნა 2006 წლის 29 დეკემბერს. ამ ობიექტებზე 2012 წლის პირველი იანვრისათვის საქპატენტში დასარეგისტრირებლად სულ შემოვიდა 36 განაცხადი.

2008-2011 წლებში მცენარისა და ცხოველის ახალ ჯიშებზე შემოსული განაცხადები წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

2008 წელს საქპატენტში შემოვიდა 7 განაცხადი მცენარის ახალ ჯიშებზე. ესენია:

- სიმინდის ახალი ჯიში – 5 („ლომთაგორა 1", „ლომთაგორა 2", „ლომთაგორა 3", „ლომთაგორა 4", „ლომთაგორა 5");
- ხორბლის ახალი ჯიში – 2 („გორდა", „ლომთაგორა 123").

აღნიშნულ ჯიშებზე ექსპერტიზის დასრულების შედეგად, გაიცა სელექციონერის უფლების დამადასტურებელი მოწმობები. შესაბამისი ინფორმაცია კი გამოქვეყნდა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში.

2009 წელს შემოვიდა 7 განაცხადი:

- კალმახის ახალ ჯიშზე – 1 („მარადიდი");
- ქერის ახალ ჯიშზე 2 – („ალავერდი", „ზეს 5");
- ხახვის ახალ ჯიშზე – 1 („ვარდისფერი 32");
- სიმინდის ახალ ჯიშზე – 1 („წეროვანი 4");
- თუთის ახალ ჯიშზე – 2 („აისი", „ფაზისი").

ჩამოთვლილ განაცხადებზე ექსპერტიზა დასრულებულია, თუთის და ხახვის ახალ ჯიშებზე გაცემულია სელექციონერის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, რის შესახებაც ინფორმაცია გამოქვეყნებულია „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში".

2010 წლიდან აღინიშნება განაცხადების რაოდენობის მატება. ამ წელს შემოვიდა სულ 10 განაცხადი, მათ

The applications filed for new varieties of plants and breeds of animals in 2008-2011are as follows:

In 2008, 7 applications for plant varieties were filed with Sakpatenti, these are:

- Maize variety – 5 ("Lomtagora 1", "Lomtagora 2", "Lomtagora 3", "Lomtagora 4", Lomtagora 5");
- Wheat variety – 2 ("Gorda", "Lomtagora 123").

After completion of examination on these varieties certificates confirming breeder's right were issued. The relevant information was published in the Official Bulletin of New Plant Varieties and Animal Breeds.

In 2009, 7 applications were filed. These are:

- New trout breed – 1 ("Maradidi");
- New barley variety – 2 ("Alaverdi", "Zes5");
- New onion variety – 1 ("Vardisperi 32");
- New maize variety – 1 ("Tserovani 4");
- New mulberry variety – 2 ("Aisi", "Phasisi").

On all the above-mentioned applications examination is completed, for the new varieties of mulberrry and onion certificates confirming breeder's right were issued and information was published in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds.

From 2010 the number of applications increased. In 2010, 10 applications were filed. Among these are:

- New variety of tomato – 2 ("Vardisperi Choportula", "Saadreo");
- New garden variety of soya – 2 ("Sabostne-I", "Mtsvaneparkiani");
- New variety of pea – 2 ("Aragvi", "Sarkineti");

შორის:
- პომიდვრის ახალ ჯიშზე – 2 („ვარდისფერი ჭოპორტულა", „საადრეო");
- საბოსტნე სოიას ახალ ჯიშზე – 2 („საბოსტნე-1", „მწვანეპარკიანი");
- მუხუდოს ახალ ჯიშზე – 2 („არაგვი", „სარკინეთი");
- სიმინდის ახალ ჯიშზე – 1 („წეროვანი 5");
- ხორბლის ახალ ჯიშზე – 1 („საული");
- ლობიოს ახალ ჯიშზე – 1 („გარდაბნული ჭრელა");
- ოსპის ახალ ჯიშზე – 1 („წილკანი").

ამ განცხადებზეც ექსპერტიზა დასრულებულია, გაცემულია დამცავი დოკუმენტი და გამოქვეყნებულია „მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენში".

2011 წელსაც შემოვიდა 11 განაცხადი, მათ შორის 1 უცხოელი განმცხადებლის:
- სიმინდის ახალ ჯიშზე – 4 („წილკანი 1", „წილკანი 2", „წილკანი 3", „ბექა");
- ხორბლის ახალ ჯიშზე – 3 („ალაზნის ველი" „ალმასი", „ლომთაგორა 109");
- ვაშლის ახალ ჯიშზე – 1 („G-198");
- სტევიას ახალ ჯიშზე – 1 („დედა");
- ხახვის ახალ ჯიშზე – 1 („ლიზი");
- კომბოსტოს ახალ ჯიშზე – 1 („ლიკანი").

- New variety of maize – 1 ("Tserovani 5");
- New variety of wheat – 1 ("Sauli");
- New variety of bean – 1 ("Gardabnuli chrela");
- New variety of lentil – 1 ("Tsilkani").

On all the above-mentioned applications examination is completed, titles of protection were issued and information was published in the Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds.

In 2011, 11 applications were filed. Among these one from a foreign applicant:
- New variety of maize – 4 ("Tsilkani I", "Tsilkani 2", Tsilkani 3", "Beka");
- New variety of wheat – 3 ("Alaznis veli", "Almasi", Lomtagora 109");
- New variety of apple – 1 ("G-198");
- New variety of stevia – 1 ("Deda");
- New variety of onion – 1 ("Lizi");
- New variety of cabbage – 1 ("Likani").

### შემოტანილი განაცხადების რაოდენობა წლების მიხედვით (2008-2011)
### NUMBER OF FILED APPLICATIONS ACCORDING TO YEARS (2008-2011)

| წლები<br>YEARS | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|
| განაცხადის რაოდენობა<br>NUMBER OF APPLICATIONS | 7 | 7 | 11 | 11 |

კულტურების მიხედვით შემოსული განაცხადების რაოდენობა:

- ხორბლის ახალ ჯიშზე – 6 განაცხადი;
- სიმინდის ახალ ჯიშზე – 11 განაცხადი;
- თუთის ახალ ჯიშზე – 2 განაცხადი;
- ქერის ახალ ჯიშზე – 2 განაცხადი;
- ხახვის ახალ ჯიშზე – 2 განაცხადი;
- პომიდვრის ახალ ჯიშზე – 2 განაცხადი;
- საბოსტნე სოიას ახალ ჯიშზე – 2 განაცხადი;
- მუხუდოს ახალ ჯიშზე – 2 განაცხადი;
- ოსპის ახალ ჯიშზე – 1 განაცხადი;
- ლობიოს ახალ ჯიშზე – 1 განაცხადი;
- ვაშლის ახალ ჯიშზე – 1 განაცხადი;
- სტევიას ახალ ჯიშზე – 1 განაცხადი;
- კომბოსტოს ახალ ჯიშზე – 1 განაცხადი;
- და ასევე, კალმახის ახალ ჯიშზე – 1 განაცხადი.

სელექციონერების სია განაცხადების რაოდენობის მიხედვით:

1. სსიპ სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი – 24 განაცხადი;
2. შპს ფირმა „ლომთაგორა" – 7 განაცხადი;
3. ნატო კაკაბაძე, ელენე მოთიაშვილი – 1 განაცხადი;
4. ნინო ჯიბღაშვილი, მედეა სარაჯიშვილი – 1 განაცხადი;
5. ი. ვ. კონსორციო იტალიანო ვივაისტი – 1 განაცხადი;
6. ახმედ დიასამიძე, იბრაიმ დიდმანიძე – 1 განაცხადი.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოგრაფიული მონაცემების ხელმისაწვდომობისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით, 2011 წელს შეიქმნა ახალი ჯიშების MS ACCESS-ის მონაცემთა ბაზა. ამჟამად, მიმდინარეობს აღნიშნული ბაზის ახალი სტრუქტურის შესაბამისად ინფორმაციით შევსება, რეორგანიზაცია და სრულყოფა, როგორც შიდასაუწყებო ქსელში, ისე ვებგვერდზე (Unicode ფორმატი) განსათავსებლად.

According to cultures in total the following applications were filed in 2008-2011:

- New variety of wheat – 6 applications;
- New variety of maize – 11 applications;
- New variety of mulberry – 2 applications;
- New variety of barley – 2 applications;
- New variety of onion – 2 applications;
- New variety of tomato – 2 applications;
- New garden variety of soya – 2 applications;
- New variety of pea – 2 applications;
- New variety of lentil – 1 applicatiion:
- New variety of bean – 1 application;
- New variety of apple – 1 application;
- New variety of stevia – 1 application;
- New variety of cabbage – 1 application;
- Also for a new trout breed – 1 application.

The list of breeders according to the number of applications:

1. LEPL State Agrarian University – 24 applications;
2. LLC firm Lomtagora – 7 applications;
3. Kakabadze Nato, Motiashvili Elene – 1 application;
4. Jibghashvili Nino, Sarajishvili Medea – 1 application;
5. Consorcio Italiano Vivaisti – 1 application;
6. Diasamidze Ahmed, Didmanidze Ibraim – 1 application.

It should be noted that for the purpose of availability of bibliographic data and software, in 2011 a MS ACCESS database of new varieties and breeds was created. At present the work in under way for filling the database information with new structure, its reorganization and perfection for internal use as well as for publication in the Internet (Unicode format).

# სასაქონლო ნიშნები
# TRADEMARKS

საქართველოში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოპოვება ხორციელდება ორი გზით:

- სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად განაცხადის საქპატენტში წარდგენით (ეროვნული პროცედურა);
- ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის შეთანხმების ოქმის თანახმად, სასაქონლო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე (საერთაშორისო პროცედურა).

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ეროვნული პროცედურით განაცხადების მიღება საქპატენტმა დაიწყო 1992 წლის პირველი მაისიდან. 2012 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ეროვნული პროცედურით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით საქპატენტში სულ შემოსულია 28078 განაცხადი, აქედან რეგისტრირებულია 22212. ვინაიდან „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგისტრაციის შემდგომი 10 წლით ვადის გაგრძელების უფლება არ იყო გამოყენებული 5821 ეროვნულ სასაქონლო ნიშანზე, ამ თარიღისათვის ძალაში იყო 16391 სასაქონლო ნიშანი.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციას, პირველი შეტყობინება, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმის შესაბამისად საქართველოზე საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების მოთხოვნით, საქპატენტმა მიიღო 1998 წლის 17 სექტემბერს (მას შემდეგ, რაც 1998 წლის 20 აგვისტოს საქართველო

In Georgia exclusive right in trademarks are acquired in two ways:

- Under the Trademark Law of Georgia, by filing an application directly with the National Intellectual Property Center "Sakpatenti" (national procedure);
- On the basis of the international registration under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks (international procedure).

Sakpatenti began receiving applications with the national procedure in 1992. By January 1, 2012, in total 28078 applications for trademark registration under the national procedure were filed with Sakpatenti. Of these 22212 were registered. As the right to extend the term of validity of a registration for subsequent 10 years, provided for by Trademark Law of Georgia, was not used for 5821 national trademarks, by this date 16391 trademarks were valid.

As regards international registration of trademarks, Sakpatenti received the first notification on extension of an international registration to Georgia under the Madrid Protocol on September 17, 1998 (after the accession of Georgia to this Protocol on August 20, 1998). According to the data of 1998-2011, under the Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks, 36981 trademarks were

მიუერთდა აღნიშნულ ოქმს). 1998-2011 წლების მონაცემებით, ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით, საქართველოზე გავრცელდა 36981 ნიშანი, რომელთაგან დაცვა მიენიჭა 31583 ნიშანს. 2012 წლის პირველი იანვრისათვის კი ძალაში იყო 29073 საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი. საქართველოზე გავრცელებული 2797 საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მფლობელმა არ მოისურვა მომდევნო ათი წლით ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელება, ხოლო 578 საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია გაუქმდა სხვადასხვა (მფლობელის მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილება და სხვ.) მიზეზით.

2012 წლის პირველი იანვრისათვის ეროვნული და საერთაშორისო პროცედურით საქართველოში დაცული ძალაში მყოფი ნიშნების საერთო რაოდენობამ შეადგინა 45 464.

2011 წელს, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პროცედურით საქპატენტში განსახილველად შემოვიდა 4863 (12,7%-ით მეტი 2010 წელთან შედარებით) განაცხადი, აქედან საერთაშორისო პროცედურით – 3273 (11,3%-ით მეტი 2010 წელთან შედარებით), ხოლო ეროვნული პროცედურით – 1590 ნიშანი, რაც 15,5%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით.

2007–2011 წლებში მადრიდის ოქმით მიღებული შეტყობინებებისა და საქპატენტში სასაქონლო ნიშნების დაცვის მოთხოვნით მიღებული განაცხადების ქვეყნების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ქვეყნები, რომლებიდანაც ამ წლებში შემოსული განაცხადების საშუალო რაოდენობა საერთო რაოდენობის 4%-ზე ნაკლები არ იყო. მონაცემებიდან ჩანს, რომ 2011 წელს ყველაზე მეტი განაცხადი (481) აშშ-ს განმცხადებლებს ეკუთვნის. ამჯერად, მეორე ადგილზე აღმოჩნდნენ განმცხადებლები გერმანიიდან – 428 განაცხადი. შეიმჩნევა ეროვნული

extended to Georgia, of which protection was granted to 31583 marks. By January 1, 2012, 29073 international trademarks were valid. Owners of 2797 international marks extended to Georgia did not wish to extend the term of validity for subsequent ten years, whereas the registration of 578 international trademarks was canceled due to various reasons (on request of owners, court decision, etc.).

By January 1, 2012, the total number of valid marks protected under the national as well as the international procedure was 45464.

In 2011 4868 trademarks in total were filed with Sakpatenti for consideration both under the national and international procedures (12.7% more than in 2010). Of these 3273 trademarks were filed under the international procedure (by 11.3% more in comparison with 2010), and 1595 trademarks were filed under the national procedure, which is by 15.5% more than in the previous year.

In order to illustrate the dynamics of breakdown according to countries of notifications under the Madrid Protocol and applications received by Sakpatenti with the request for the protection of trademarks, the data of the countries were selected the number of whose trademarks, averaged for 2007-2011, was no less than 4% of the total amount. The data show that in 2011 the largest quantity of applications (481) were filed by US applicants. This time, applicants from Germany occupied the second position – 428 applications. The number of applications filed under the national procedure and international registrations

## 2007–2011 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა

## NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2007–2011

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურით | | 1158 | 1459 | 1220 | 1381 | 1590 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 553 | 759 | 623 | 675 | 838 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 605 | 700 | 597 | 706 | 752 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურით | | 3786 | 3951 | 3212 | 2940 | 3273 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 4944 | 5410 | 4432 | 4321 | 4863 | TOTAL | |




## 2007-2011 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

## NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED IN 2007–2011 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | საშუალო | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 553 | 759 | 624 | 675 | 843 | 690.8 | GE (GEORGIA) |
| გერმანია | 674 | 631 | 514 | 393 | 428 | 528 | DE (GERMANY) |
| აშშ | 332 | 492 | 309 | 381 | 481 | 399 | US (USA) |
| შვეიცარია | 330 | 376 | 404 | 374 | 303 | 357.4 | CH (SWITZERLAND) |
| რუსეთი | 311 | 357 | 283 | 251 | 261 | 292.6 | RU (RUSSIA) |
| საფრანგეთი | 301 | 256 | 251 | 222 | 229 | 251.8 | FR (FRANCE) |
| იტალია | 270 | 278 | 221 | 215 | 210 | 238.8 | IT (ITALY) |
| თურქეთი | 174 | 220 | 185 | 234 | 248 | 212.2 | TR (TURKEY) |
| ჩინეთი | 174 | 223 | 142 | 196 | 218 | 190.6 | CN (CHINA) |
| სხვა | 1827 | 1802 | 1500 | 1392 | 1646 | AVERAGE | OTHER |



პროცედურით მიღებული განაცხადებისა და საქართველოზე გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობის ზრდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: რუსეთი, საფრანგეთი, თურქეთი და ჩინეთი.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საგრძნობლად 24%-ით (168 განაცხადი) გაიზარდა ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა (843), რაც ქართული ბიზნესის გააქტიურებაზე მეტყველებს.

ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში შემოსული განაცხადების საქონლისა და მომსახურების ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის კლასების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ის კლასები, რომლებზეც დაცვის გავრცელების მოთხოვნით 2007-2011 წლებში შემოსული სასაქონლო ნიშნების საშუალო რაოდენობა საერთო რაოდენობის 9%-ზე ნაკლები არ იყო.

როგორც გრაფიკებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდისათვის, განმცხადებელთა უმრავლესობის ყველაზე დიდი ინტერესის ობიექტს კვლავ ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის საქონელი (ფარმაცევტული, ვეტერინარული და ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) წარმოადგენს. დაინტერესება კვლავ აღინიშნება 35-ე (რეკლამა; ბიზნესის მართვა), მე-9 (ელექტრული ხელსაწყოები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), მე-3 (პარფიუმერია, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები), 30-ე (ყავა, ჩაი, კაკაო და ა.შ.) და 25-ე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი) კლასების საქონლის მიმართაც.

გამოვლენილი დაინტერესების შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების კლასები ასე განაწილდა: მე-5 კლასი (1388 ნიშანი – 29%), 35-ე კლასი (650 ნიშანი – 13,3%), მე-9 კლასი (581 ნიშანი – 11,9%), 30-ე კლასი (490 ნიშანი – 10,1%), მე-3 კლასი (487 ნიშანი – 10%) და ა.შ. მოცემული თანამიმდევრობა ცალკე აღებული 2011 წლისთვისაც იგივეა.

requesting extension to Georgia increased from such countries as Russia, France, Turkey and China.

It is noteworthy that in 2011 the number of local applications (843) increased considerably (by 24% – by 168 applications), which indicates the intensification of the activity of Georgian business.

To illustrate the dynamics of breakdown of applications filed with Sakpatenti under the national and international procedures according to classes of the International Nice Classification of Goods and Services, those classes were selected the number of trademarks requesting protection to which, averaged for 2007-2011, was no less than 9% of the total amount.

As is evident from the diagrams, the goods belonging to Class 5 of the International Nice Classification (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.) were of special interest to the majority of applicants. The interest was also observable in the goods belonging to Class 35 (advertising, business management), Class 9 (electrical apparatus, software, etc.), Class 3 (perfumery, cosmetics, substances for laundry use), Class 30 (coffee, tea, cocoa, etc.) and Class 25 (clothing, footwear, headgear).

According to the shown interest, classes of goods and services were as follows: Class 5 (1388 marks – 29%), Class 35 (650 marks – 13.3%), Class 9 (581 marks – 11.9%), Class 30 (490 marks – 10.1 %), Class 3 (487 marks – 10%), etc. The given sequence in 2011, taken separately, is the same).

## 2007–2011 წლებში შემოტანილი განაცხადებისა და საქართველოზე დაცვის გავრცელების მოთხოვნით მიღებული საერთაშორისო რეგისტრაციების რაოდენობა კლასების მიხედვით

## NUMBER OF FILED APPLICATIONS AND INTERNATIONAL REGISTRATIONS REQUESTING EXTENSION OF PROTECTION TO GEORGIA RECEIVED BY SAKPATENTI IN 2007-2011 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | საშუალო AVERAGE |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1515 | 1522 | 1464 | 1243 | 1,388 | 1426.4 |
| 35 | 629 | 826 | 614 | 540 | 650 | 651.8 |
| 9 | 651 | 737 | 499 | 445 | 581 | 582.6 |
| 3 | 553 | 616 | 490 | 421 | 487 | 513.4 |
| 30 | 490 | 537 | 446 | 462 | 490 | 485 |
| 25 | 494 | 600 | 377 | 365 | 416 | 450.4 |
| 16 | 456 | 467 | 330 | 293 | 304 | 370 |
| 41 | 374 | 409 | 293 | 205 | 312 | 318.6 |
| 42 | 345 | 409 | 282 | 236 | 243 | 303.2 |
| 29 | 256 | 333 | 303 | 281 | 267 | 288.6 |
| 32 | 297 | 336 | 260 | 261 | 275 | 266.4 |
| 33 | 332 | 310 | 226 | 233 | 254 | 272 |



ადგილობრივი განაცხადების ანალოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ უცხოელ განმცხადებელთა მსგავსად, 2011 წელს კვლავ შენარჩუნდა ქართველ მეწარმეთა ინტერესი მე-5 კლასის საქონლის (ფარმაცევტული, ვეტერინარული, ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.) მიმართ. გასულ წელთან შედარებით, გაიზარდა განაცხადების რაოდენობა საკვები პროდუქტებითა და დროებითი საცხოვრებლებით უზრუნველყოფის მომსახურების (43-ე კლასი) სფეროში. მნიშვნელოვანია შემოსული განაცხადების რაოდენობის ზრდა 32-ე კლასის (უალკოჰოლო სასმელები; ლუდი) საქონლისა და 41-ე კლასის (აღზრდა, განათლება, გართობა და სხვა) მომსახურებისათვის. გარდა ამისა, გარკვეული ინტერესი შენარჩუნებულია მე-3 (პარფიუმერია; კოსმეტიკა; სარეცხი საშუალებები და სხვა) და 30-ე კლასის (ყავა, ჩაი, პურ-ფუნთუშეული; საკონდიტრო ნაწარმი და სხვა) საქონლის მიმართაც.

ადგილობრივ განმცხადებელთა მხრიდან გამოვლენილი დაინტერესების დონის მიხედვით 2011 წელს კვლავ პირველ და მეორე ადგილზეა საქონლისა და მომსახურების მე-5 (282 განაცხადი – 33.5%) და 35-ე (144 განაცხადი – 17.1%) კლასები. დანარჩენი კლასები კი ასეთი რიგითობით განლაგდა: 30-ე (96 განაცხადი – 11,4%), 43-ე (94 განაცხადი – 11.2%), 33-ე (73 განაცხადი – 8.7%), 32-ე (72 განაცხადი – 8.5%), 41-ე (67 განაცხადი – 7.9%) და ა.შ.

2011 წელს საქპატენტში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემოტანილი განაცხადების მიხედვით, საქართველოს ქალაქებიდან ისევ ლიდერობს თბილისი (711 განაცხადი). ქალაქებისა და რაიონების მომდევნო ხუთეული კი ასე გამოიყურება: ბათუმი (22), მცხეთა (16), ყვარელი (14), ზუგდიდი (9) და თელავი (7).

Similar analysis of local applications demonstrates that, like foreign applicants, in 2011 Georgian entrepreneurs again showed interest in goods belonging to Class 5 (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.). As compared with the preceding year, the interest in the sphere of services for providing food and drink and temporary accommodation (Class 43) increased. The increase of the number of applications was considerable for goods belonging to Class 32 (beverages; beer) and services belonging to Class 41 (education; providing of training; entertainment, etc.). Along with this, certain interest also remained in goods belonging to Class 3 (perfumery, cosmetics, substances for laundry use) and Class 30 (coffee, tea, cocoa, bread, pastry and confectionery, etc.).

According to the interest shown by local applicants, in 2011 too, Class 5 (282 applications – 33.5%) and Class 35 (144 applications – 17.1%) remained on the first and the second positions. The interest in other classes was as follows: Class 30 (96 applications – 11.4%), Class 43 (94 applications – 11.2%), Class 33 (73 applications – 8.7%), Class 41 (67 applications – 7.9%) etc.

The analysis of local applications filed with Sakpatenti in 2011 shows that of the cities of Georgia, Tbilisi is again in the lead (711 applications). The following five positions are as follows: Batumi (22), Mtskheta (16), Kvareli (14), Zugdidi district (9) and Telavi (7).

## 2007–2011 წლებში შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა კლასების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2007–2011 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | საშუალო AVERAGE |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 155 | 306 | 234 | 156 | 282 | 226.6 |
| 35 | 110 | 178 | 108 | 156 | 144 | 139.2 |
| 30 | 78 | 68 | 78 | 96 | 96 | 82.4 |
| 33 | 106 | 71 | 57 | 84 | 73 | 78.2 |
| 43 | 76 | 89 | 62 | 45 | 94 | 73.2 |
| 16 | 52 | 70 | 60 | 72 | 43 | 59.4 |
| 36 | 50 | 104 | 35 | 65 | 50 | 60.8 |
| 32 | 60 | 57 | 59 | 50 | 72 | 59.6 |
| 41 | 55 | 70 | 47 | 46 | 67 | 57 |
| 29 | 48 | 52 | 58 | 64 | 52 | 54.8 |
| 3 | 28 | 93 | 34 | 35 | 39 | 45.8 |
| 25 | 44 | 42 | 34 | 52 | 34 | 41.2 |




## 2011 წელს შემოტანილი ადგილობრივი განაცხადების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

NUMBER OF LOCAL APPLICATIONS FILED IN 2011 ACCORDING TO REGIONS OF GEORGIA

| რეგიონი | განაცხადების რაოდენობა NUMBER OF APPLICATIONS | REGION |
|---|---|---|
| თბილისი | 711 | TBILISI |
| ბათუმი | 22 | BATUMI |
| მცხეთა | 16 | MTSKHETA |
| ყვარელი | 14 | KVARELI |
| ზუგდიდი | 9 | ZUGDIDI |
| თელავი | 7 | TELAVI |
| ახალქალაქი | 6 | AKHALKALAKI |
| ქუთაისი | 5 | KUTAISI |

2010 წლის 12 ივლისიდან სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონში (მ. 151) შეტანილი ცვლილება საშუალებას აძლევს განმცხადებელს მოითხოვოს განაცხადის განხილვა და ნიშნის რეგისტრაცია დაჩქარებული პროცედურით, რომელიც ამცირებს ზემოხსენებულ ვადებს 10 სამუშაო დღემდე. 2011 წელს დაჩქარებული პროცედურით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნით შემოვიდა 178 განაცხადი, აქედან დარეგისტრირდა 135 ნიშანი, 20 ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ხოლო 23 განაცხადზე საქმისწარმოება შეწყდა საფასურის გადაუხდელობის გამო.

2011 წელს სასაქონლო ნიშნების რეესტრში დარეგისტრირდა 1136 სასაქონლო ნიშანი, რომელთაგან 504 ადგილობრივ, ხოლო 632 უცხოელ მფლობელს ეკუთვნის. საერთაშორისო პროცედურით კი, დაცვა მიენიჭა საქართველოზე გავრცელებულ 3009 ნიშანს.

2011 წელს რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით ასე გადანაწილდა: გერმანია – 402 (9,7%), შვეიცარია – 397 (9,6%), აშშ – 356 (8,6%), რუსეთი – 246 (5,9%), საფრანგეთი 240 (5,8%) და თურქეთი – 234 (5,6%).

ეროვნული და საერთაშორისო პროცედურებით საქპატენტში დაცული ნიშნები საქონლისა და მომსახურების ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის კლასების მიხედვით განაწილების დინამიკის საილუსტრაციოდ შეირჩა ის კლასები, რომლებზეც 2007-2011 წლებში დაცული სასაქონლო ნიშნების საშუალო რაოდენობა საერთო რაოდენობის 6%-ზე ნაკლები არ იყო.

The amendment to the Trademark Law of Georgia, in force from July 12, 2010, allows an applicant to request application processing and trademark registration by the accelerated procedure, which reduces the above-mentioned terms to 10 working days (Article 151). In 2011, 178 applications were filed for registration under the accelerated procedure. Of these, 135 marks were registered, 20 marks were refused registration and for 23 applications proceedings were terminated due to non-payment.

According to data of 2011, 1,136 trademarks were registered in the Register of Trademarks, of these 504 in the name of local owners and 632 in the name of foreign owners. Under the international procedure protection was granted to 3,009 marks extended to Georgia.

The number of trademarks entered in the Register and protected in Georgia on the basis of international registration in 2011, according to countries is the following: Germany – 402 (9.7%), Switzerland – 397 (9.6%), USA – 356 (8.6%), Russia – 246 (5.9%), France – 240 (5.8%) and Turkey – 234 (5.6%).

To illustrate the dynamics of breakdown of applications protected at Sakpatenti under the national and international procedures according to classes of the International Nice Classification of Goods and Services, those classes were selected the number of trademarks requesting protection to which, averaged for 2007-2011, was no less than 6% of the total amount.

## 2007–2011 რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა

NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2007-2011

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეროვნული პროცედურა | | 941 | 874 | 1107 | 916 | 1136 | NATIONAL PROCEDURE | |
| მათ შორის | ადგილობრივი | 300 | 358 | 409 | 412 | 504 | LOCAL | AMONG THEM |
| | უცხოური | 641 | 516 | 698 | 504 | 632 | FOREIGN | |
| საერთაშორისო პროცედურა | | 3178 | 3537 | 4088 | 3416 | 3009 | INTERNATIONAL PROCEDURE | |
| სულ | | 4119 | 4411 | 5195 | 4332 | 4145 | TOTAL | |




## 2007–2011 წლებში რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2007-2011 ACCORDING TO COUNTRIES

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | საშუალო AVERAGE | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 590 | 655 | 640 | 563 | 402 | 570 | DE (GERMANY) |
| საქართველო | 305 | 357 | 409 | 412 | 504 | 397.4 | GE (GEORGIA) |
| აშშ | 393 | 318 | 483 | 326 | 356 | 375.2 | US (USA) |
| შვეიცარია | 334 | 314 | 408 | 386 | 397 | 367.8 | CH (SWITZERLAND) |
| რუსეთი | 234 | 282 | 347 | 270 | 246 | 275.8 | RU (RUSSIA) |
| საფრანგეთი | 200 | 267 | 297 | 256 | 240 | 252.4 | FR (FRANCE) |
| იტალია | 246 | 265 | 301 | 240 | 202 | 250.8 | IT (ITALY) |
| თურქეთი | 229 | 180 | 204 | 190 | 234 | 207.4 | TR (TURKEY) |
| ჩინეთი | 186 | 155 | 224 | 158 | 192 | 183 | CN (CHINA) |



როგორც გრაფიკებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდისათვის ყველაზე მეტი – 1213 (დაცული ნიშნების მთლიანი რაოდენობის 29%) ნიშანი დაცულია ნიცის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის საქონლისთვის (ფარმაცევტული, ვეტერინარული და ჰიგიენური ნაწარმი და ა.შ.); შემდეგ – 35-ე კლასის მომსახურებისთვის (რეკლამა; ბიზნესის მართვა), რასაც მოჰყვება მე-9 (ელექტრული ხელსაწყოები, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ.), მე-3 (პარფიუმერია, კოსმეტიკა, სარეცხი საშუალებები), 25-ე (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თავსაბურავი) კლასები და ა. შ.

საქონლისა და მომსახურების მიმართ ადგილობრივი ნიშნების რაოდენობით 2011 წელს პირველ და მეორე ადგილზეა მე-5 (141 ნიშანი – რეგისტრირებული ადგილობრივი ნიშნების მთლიანი რაოდენობის 28%) და 35-ე (119 ნიშანი – 24%) კლასები. დანარჩენი კლასები კი ასეთი რიგითობით განლაგდა: 30-ე (58 ნიშანი –12%), 33-ე (41 ნიშანი – 8%), 43-ე (32 ნიშანი – 6%) და ა. შ.

რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა საქართველოს ქალაქების მიხედვით ასე გამოიყურება: თბილისი – 450 ნიშანი (89,3%), ბათუმი –16 ნიშანი (3,2%), თელავი – 8 ნიშანი (1,6%), ქუთაისი – 6 ნიშანი (1,2%).

2001 წელს ეროვნული პროცედურით რეგისტრაციაში გატარდა 550 სასაქონლო ნიშანი, რომელთაც 2011 წელს უწევდათ რეგისტრაციის ვადის გაგრძელება შემდგომი 10 წლით. რეალურად მოქმედების ვადა გაუგრძელდა 247 სასაქონლო ნიშანს.

2011 წელს ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმის შესაბამისად, საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში გაიგზავნა 6 განაცხადი, რომლებიც ეკუთვნოდა შემდეგ იურიდიულ პირებს: შპს „საამო" (32-ე კლა-

As is evident from the diagrams, in the reporting period the largest quantity of marks was protected for the goods belonging to Class 5 of the International Nice Classification (pharmaceutical, veterinary and sanitary preparations, etc.) – 1213 (29% of total amount of protected marks); then follow services belonging to Class 35 (advertising, business management), Class 9 (electrical apparatus, software, etc.), Class 3 (perfumery, cosmetics, substances for laundry use), Class 25 (clothing, footwear, headgear), etc.

According to the number of local marks with respect to goods and services in 2011 Class 5 (141 marks – 28% of total amount of registered local marks) and Class 35 (119 marks – 24%) occupied the first and second positions. The remaining classes were as follows: 30 (58 marks – 12%), 33 (41 marks – 8%), 43 (32 marks – 6%), etc.

As regards the number of local applications entered in the Register, their breakdown according to the cities of Georgia is as follows: Tbilisi – 450 marks (89.3%), Batumi – 16 marks (3.2%), Telavi – 8 marks (1.6%), Kutaisi – 6 marks (1.2%).

In 2001, 550 trademarks were registered under the national procedure for which it was necessary to extend the term of validity of registration by a consecutive period of 10 years in 2011. In fact, the term of validity of 247 trademarks was extended.

In 2011, 6 applications of the following legal entities were sent from Georgia to the International Bureau under the Madrid Protocol: LLC "Saamo" (for goods

## 2007-2011 წლებში რეესტრში შეტანილი და საერთაშორისო რეგისტრაციის საფუძველზე საქართველოში დაცული ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

## NUMBER OF TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER AND PROTECTED IN GEORGIA ON THE BASIS OF INTERNATIONAL REGISTRATION IN 2007-2011 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | საშუალო AVERAGE |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1057 | 1279 | 1427 | 1376 | 1213 | 1270.4 |
| 35 | 509 | 572 | 759 | 622 | 506 | 593.6 |
| 9 | 562 | 617 | 726 | 538 | 441 | 576.8 |
| 3 | 455 | 503 | 596 | 500 | 408 | 492.4 |
| 25 | 427 | 468 | 609 | 391 | 364 | 451.8 |
| 30 | 386 | 400 | 511 | 400 | 455 | 430.4 |
| 16 | 375 | 417 | 454 | 323 | 276 | 369 |
| 42 | 324 | 341 | 411 | 310 | 228 | 322.8 |
| 41 | 291 | 333 | 423 | 291 | 209 | 309.4 |
| 29 | 284 | 219 | 312 | 287 | 278 | 276 |
| 32 | 283 | 256 | 328 | 245 | 248 | 272 |
| 33 | 275 | 276 | 286 | 216 | 211 | 252.8 |




სის საქონლისათვის), შპს „შტოლცბერგ ჯორჯია" (21-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე და 33-ე კლასების საქონლისათვის), შპს „სარაჯიშვილი" (ორი განაცხადი 33-ე კლასის საქონლისათვის), შპს „კონიაკისა და ღვინის ქარხანა ვაზიანი" (33-ე კლასის საქონლისათვის) და შპს „ლოიდლი" (29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 33-ე კლასების საქონლისა და 35-ე და 43-ე კლასების მომსახურებისათვის). 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოდან საერთაშორისო ბიუროში სულ გაგზავნილი და რეგისტრირებულია 89 სასაქონლო ნიშანი, რომელთაგან ძალაშია 77.

belonging to Class 32), LLC "Stolzberg Georgia" (for goods belonging to Classes 21, 29, 30, 32 and 33), LLC "Sarajishvili" (two applications for goods belonging to Class 33), LLC "Brandy and Wine Factory Vaziani" (for goods belonging to Class 33) and LLC "Loidl" (for goods belonging to Classes 29, 30, 31, 32, 33 and services belonging to Classes 35 and 43). By January 1, 2012, in total 89 trademarks were sent from Georgia to the International Bureau and were registered, of which 77 are valid.

## 2007-2011 წლებში რეესტრში შეტანილი ადგილობრივი სასაქონლო ნიშნების რაოდენობა კლასების მიხედვით

NUMBER OF LOCAL TRADEMARKS ENTERED IN THE REGISTER IN 2007-2011 ACCORDING TO CLASSES

| კლასი CLASS | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | საშუალო AVERAGE |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 88 | 92 | 126 | 177 | 141 | 124.8 |
| 35 | 65 | 77 | 125 | 66 | 119 | 90.4 |
| 33 | 57 | 71 | 45 | 41 | 41 | 51 |
| 30 | 32 | 48 | 51 | 53 | 58 | 48.4 |
| 43 | 34 | 55 | 67 | 31 | 32 | 43.8 |
| 41 | 36 | 46 | 57 | 25 | 35 | 41.2 |
| 32 | 55 | 44 | 44 | 32 | 43 | 42.2 |
| 36 | 30 | 30 | 64 | 15 | 57 | 39.2 |
| 29 | 40 | 33 | 37 | 36 | 48 | 38.8 |
| 16 | 20 | 37 | 47 | 37 | 42 | 36.6 |
| 25 | 24 | 40 | 37 | 14 | 46 | 32.2 |
| 37 | 31 | 33 | 51 | 9 | 14 | 27.6 |
| 44 | 24 | 22 | 48 | 12 | 20 | 25 |




## რეესტრში შეტანილი ადგილობრივი ნიშნების რაოდენობა საქართველოს რეგიონების მიხედვით

NUMBER OF LOCAL TRADEMARKS ENTERED IN REGISTER ACCORDING TO REGIONS OF GEORGIA

| რეგიონი | ნიშნების რაოდენობა NUMBER OF TRADEMARKS | REGION |
|---|---|---|
| თბილისი | 450 | TBILISI |
| ბათუმი | 16 | BATUMI |
| თელავი | 8 | TELAVI |
| ქუთაისი | 6 | KUTAISI |
| ზუგდიდი | 4 | ZUGDIDI |
| ხელვაჩაური | 4 | KHELVACHAURI |
| მცხეთა | 3 | MTSKHETA |

# საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები

# APPELATIONS OF ORIGIN OF GOODS

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტში", შესაძლებელია განხორციელდეს:

- ადგილწარმოშობის დასახელების და/ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია;
- რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების და/ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენების უფლების მინიჭება.

საქპატენტში რეგისტრირდება უცხო ქვეყნის საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულების საფუძველზე. ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვა საერთაშორისო დონეზე შესაძლებელია განხორციელდეს „ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერ-

At the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" following is carried out:

- Registration of an appellation of origin and/or geographical indication;
- Granting of the right of use of a registered appellation of origin and/or geographical indication.

Along with this, appellations of origin and geographical indications of foreign countries are also registered at Sakpatenti on the basis of an interstate agreement. Namely, on the international level appellations of origin may be protected on the basis of the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration, a




*ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები*
*Appellations of Origin of Georgian Wine*

თაშორისო რეგისტრაციის შესახებ" ლის-აბონის შეთანხმების მიხედვით, რომლის მონაწილეც არის საქართველო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2011 წლის 30 აგვისტოს წარმოადგინა 3 განაცხადი მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელებების – „საირმე", „ბორჯომი" და „ნაბეღლავი", ხოლო 2011 წლის 6 სექტემბერს – 16 განაცხადი გეოგრაფიული აღნიშვნების: „ჩოგი", „მაწონი", „ტენილი", „ქართული ყველი", „ჭაჭა", „აჭარული ჩლეჩილი", „მესხური ჩეჩილი", „მეგრული სულგუნი", „სულგუნი", „სვანური სულგუნი", „კობი", „გუდა", „თუშური გუდა", „იმერული ყველი", „დამბალხაჭო" და „ჩურჩხელა" რეგისტრაციის მოთხოვნით. 2011 წლის 13 დეკემბერს დარეგისტრირდა მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელება „ნაბეღლავი" და გეოგრაფიული აღნიშვნები „ჭაჭა" და „ჩურჩხელა", ხოლო 2011 წლის 21 დეკემბერს – მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელება „საირმე".

2011 წელს გაიცა 141 მოწმობა ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების გამოყენების უფლების შესახებ. ასეთი მოწმობა ერთი წლის ვადით მიიღო ღვინის მწარმოებელმა 19 კომპანიამ. ეს კომპანიებია: შპს „ქინძმარაულის მარანი", სს „თელიანი ველი", სს „თბილღვინო", შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა", შპს „ბადაგონი", შპს „ღვინის კომპანია შუმი", შპს „მეღვინეობა ხარება", შპს „კორპორაცია ქართული ღვინო", სს „თელავის ღვინის მარანი", შპს „ტფილისის მარანი", შპს „ტიფლისსკი ვინნი პოგრებ", სს „კორპორაცია ქინძმარაული", შპს „კახური ღვინის მარანი", შპს „ალკოჰოლური სასმელების კომპანია ალავერდი", შპს „ფალავანი", სს „ვაზიანი", შპს „კონჭო & კომპანია", შპს „კახეთი – კ" და შპს „ბარაკონი".

party to which is Georgia.

The Ministry of Agriculture of Georgia on August 30, 2011 presented three applications requesting registration of appellations of origin of mineral waters "Sairme", "Borjomi" and "Nabeghlavi", and on September 6, 2011 16 applications with the request of registration of geographical indications "Chogi", "Matsoni", "Tenili", "Kartuli Kveli", "Chacha", "Acharuli Chlechili", "Meskhuri Chechili", "Megruli Sulguni", "Sulguni", "Svanuri Suluguni", "Kobi", "Guda", "Tushuri Guda", "Imeruli Kveli", "Dambalkhacho" and "Churchkhela". On December 13, 2011 appellation of origin of mineral water "Nabeghlavi" and geographical indications "Chacha" and "Churchkhela" were registered. Appellation of origin of mineral water "Sairme" was registered on December 21, 2011.

In 2011 141 certificates were issued on the right of use of appellations of origin of wines. Such a certificate was awarded for a period of one year to 19 wine producing companies. These companies are: LLC "Kindzmarauli Wine Cellar", JSC "Teliani Valley", JSC "Tbilghvino", LLC "Kakhetian Traditional Wine-Making", LLC "Badagoni", LLC "Wine Company Shumi", LLC "Winery Khareba", LLC "Corporation Georgian Wine", JSC "Telavi Wine Cellar", LLC "Tiflis Wine Cellar", LLC "Tiflisski Vinni Pogreb", JSC "Corporation Kindzmarauli", JSC "Kakhetian Wine Cellar", LLC "Spirits Company Alaverdi", LLC "Palavani", JSC "Vaziani", LLC "Koncho & Company", LLC "Kakheti-K" and "Barakoni".

მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „საირმე" გამოყენების უფლების დამადასტურებელი მოწმობა ერთი წლის ვადით გაიცა მინერალური წყლის ჩამომსხმელ კომპანიაზე – შპს „საირმე მინერალ ვოთერს", ხოლო მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების „ნაბეღლავი" გამოყენების უფლება ერთი წლის ვადით მიენიჭა კომპანიას სს „წყალი მარგებელი".

„ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ" ლისაბონის შეთანხმების შესაბამისად, 2011 წელს საქართველოზე გავრცელდა და დაცვა მიენიჭა 10 ადგილწარმოშობის დასახელებას. სტატისტიკური მასალა იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

The certificate confirming the right of use of appellations of origin of mineral water "Sairme" was issued for a period of one year to mineral water bottling company - LLC "Sairme Mineral Waters", and that for mineral water "Nabeghlavi" was issued for a period of one year to mineral water bottling company - JSC "Healthy Water".

On the basis of the Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration, in 2011 10 appellations of origin were granted protection and extended to Georgia. See statistical data in the table below:

### ადგილწარმოშობის დასახელებებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებთან დაკავშირებით 2011 წელს საქპატენტში შემოსული განაცხადებისა და რეგისტრაციების რაოდენობა

### NUMBER OF APPLICATIONS AND REGISTRATIONS FILED WITH SAKPATENTI IN 2011 IN CONNECTION WITH APPELLATIONS OF ORIGIN AND GEOGRAPHICAL INDICATIONS

| ობიექტები<br>OBJECTS | განაცხადები<br>APPLICATIONS | რეგისტრაცია<br>REGISTRATION |
|---|---|---|
| ადგილწარმოშობის დასახელება<br>APPELLATION OF ORIGIN | 3 | 2 |
| გეოგრაფიული აღნიშვნა<br>GEOGRAPHICAL INDICATION | 16 | 2 |
| ლისაბონის შეთანხმების საფუძველზე შემოტანილი ადგილწარმოშობის დასახელებები<br>APPELLATION OF ORIGIN REGISTERED ON THE BASIS OF LISBON AGREEMENT | 3 | 10 |
| ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენების უფლება<br>RIGHT OF USE OF APPELLATION OF ORIGIN | 141 | 141 |

# საავტორო უფლებები
# COPYRIGHT

საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საავტორო სამართლის ნორმების შესაბამისად, საქპატენტი 2011 წელსაც აქტიურად ახორციელებდა ფართო საკონსულტაციო და საგანმანათლებლო საქმიანობას საავტორო და მომიჯნავე უფლებების საკითხებთან დაკავშირებით როგორც ავტორებთან, ასევე საავტორო უფლების სხვა მფლობელებთან.

საავტორო უფლების სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2011 წლის მანძილზე ჩატარდა არაერთი შეხვედრა ავტორებთან და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა სხვადასხვა კატეგორიის ჯგუფებთან და გაერთიანებებთან. ამ შეხვედრების დროს, დაინტერესებული ავტორებისა და სხვა უფლებამფლობელების თხოვნით მიმდინარეობდა საავტორო სამართლის ნორმების განმარტება და პრაქტიკული საკითხების განხილვა, რომლებიც ეხებოდა როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებების განხორციელებასა და უფლებების გადაცემას, ისე საავტორო ხელშეკრულებების გაფორმებას, საავტორო ჰონორარის მიღების წესებსა და უფლებების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ზომების გამოყენების შესაძლებლობებს. 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ზემოაღნიშნულ საკითხებზე ჩატარებულია 1400-მდე ინდივიდუალური კონსულტაცია და განმარტებითი საუბარი.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონში 2010 წელს განხორციელებული ცვლილების

Sakpatenti, within the frames established by the legislation of Georgia and norms of international copyright law, has continued active consultation and educational activities concerning the copyright and neighbouring rights with authors as well as other holders of copyright.

In 2011, for the purpose of raising awareness in the copyright, a number of meetings took place with various groups and associations of authors and holders of neighbouring rights. During these meetings, upon the request of interested authors and other rightholders, legal norms were explained and practical issues were considered, related to the enforcement of copyright and related rights and assignation, as well as preparation of a copyright agreement, the rule of collection of royalties and possibilities of taking measures provided for by the law in various cases of infringement of rights. By December 31, 2011, up to 1400 individual consultations and explanatory conversations were offered regarding the above-mentioned issues.

On the basis of the amendments of 2010 to the "Law of Georgia on Copyright and Neighbouring Rights", a person indicated in the deposition certificate is deemed as the author/holder of copyright of the work, unless otherwise proved.

თანახმად, დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული პირი მიიჩნევა ნაწარმოების ავტორად/საავტორო უფლების მფლობელად თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება. აღნიშნული ცვლილებით, დეპონირებას მიენიჭა უფრო მტკიცე სამართლებრივი სტატუსი. თუ კანონის ძველი რედაქციით, დეპონირება არ ადასტურებდა ავტორობას, განხორციელებული ცვლილების შედეგად, განმცხადებელს ენიჭება პირობითი საავტორო უფლებები, რაც ზრდის განმცხადებლების მხრიდან ნაწარმოებების დეპონირების ინტერესს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საავტორო უფლებების წარმოშობისათვის ნაწარმოებების დეპონირება არ არის აუცილებელი, ვინაიდან მათზე საავტორო უფლება წარმოიშვება მათი შექმნის მომენტიდან.

საავტორო უფლებების საკითხებზე აქტიური პიარკამპანიების ფონზე, გასულ წელთან შედარებით მოიმატა დეპონირებული ნაწარმოებების რაოდენობამ. 2011 წელს, ავტორთა და უფლებამფლობელთა განცხადების საფუძველზე, დეპონირებულია 526 ნაწარმოები და გაცემულია შესაბამისი დეპონირების მოწმობა. აღსანიშნავია, რომ დეპონირებულ ნაწარმოებებს შორის კვლავაც დიდი ადგილი უკავია ლიტერატურულ ნაწარმოებებს (242). ავტორებისა და უფლებამფლობელების მიერ დეპონირებული ყველა ნაწარმოები ინახება საქპატენტში, საავტორო უფლებების დაცვის განყოფილების არქივში.

By virtue of the amendments, deposition acquired a stronger legal status. By the older version of the Law, deposition did not certify authorship, whereas, according to the amendments, an applicant is granted conventional copyright, which increases the interest of applicants in deposition. It should be noted that for the accrual of copyright it is not necessary to deposit works, as copyright arises from the moment of their creation.

Against the background of the active PR campaign on copyright issues, as compared with the previous year, in 2011, the number of deposited works upon the requests of authors and rightholders increased. In 2011, 526 works were deposited and relevant deposition certificates were issued. Noteworthy, among the deposited works, literary works occupy a significant place (242). All works deposited by authors and rightholders are stored in the archives of the Copyright Law Protection Section of Sakapenti.

## ნაწარმოების დეპონირება (2007–2011)

## DEPOSITION OF WORKS (2007–2011)

| | | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტერატურული ნაწარმოებები | ლიტერატურული ნაწარმოები | 130 | 35 | 177 | 86 | 115 | LITERARY WORKS | LITERARY WORKS |
| | წიგნი, ბროშურა | 9 | 49 | 105 | 2 | 2 | BOOK, BOOKLET | |
| | სცენარი, სინოფსისი | 133 | 55 | – | 74 | 95 | SCENARIOS, SYNOPSIS | |
| | კომპიუტ. პროგრამა | 10 | 16 | 19 | 19 | 24 | COMPUTER PROGRAM | |
| | აღწერილობა | 99 | 59 | – | 6 | 6 | DESCRIPTION | |
| მეცნიერება | სამეცნიერო ნაშრომი | 7 | 116 | – | 39 | 50 | SCIENTIFIC PAPER | SCIENCE |
| | სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი | 2 | 7 | – | 22 | 13 | SCIENTIFIC METHODICAL WORK | |
| | მეთოდური ნაშრომი | – | – | – | 56 | 59 | METHODICAL WORK | |
| | სამეცნიერო სტატია | – | – | 115 | 5 | 14 | SCIENTIFIC ARTICLE | |
| | სხვა | – | 8 | – | – | 2 | OTHER | |
| მუსიკალური ნაწარმოები | | 42 | 51 | 33 | 39 | 39 | MUSICAL WORK | |
| აუდიო-ვიზუალური ნაწარმოები | | 30 | 9 | 12 | 10 | 9 | AUDIOVISUAL WORK | |
| სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | სახვითი ხელოვნების ნაწარმოები | 3 | 3 | 26 | 21 | 10 | VISUAL ARTS | FINE ARTS |
| | ფერწერა | 5 | 1 | – | 17 | – | PAINTING | |
| | ქანდაკება | 22 | 1 | – | 7 | – | SCULPTURE | |
| | დიზაინი | – | – | – | 6 | – | DESIGN | |
| | ესკიზი | – | 19 | – | 5 | – | SKETCH | |
| დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნება | | 11 | 15 | 2 | 5 | 5 | DECORATIVE APPLIED OR MONUMENTAL | |
| ლოგო | | 1 | – | – | 12 | 10 | LOGO | |
| არქიტექტურა, ქალაქთმშენებლობა | | 27 | 19 | 25 | 4 | 3 | ARCHITECTURE, TOWN-PLANNING | |
| ფოტოგრაფია | | 3 | 2 | 7 | 6 | 7 | PHOTOGRAPHY | |
| მონაცემთა ბაზა | | 11 | 6 | – | 32 | 21 | DATABASE | |
| გადამუშავებული ნაწარმოები | | 7 | 9 | 2 | – | 5 | DERIVED WORK | |
| შედგენილი ნაწარმოები | | 14 | 1 | 15 | 19 | 24 | COMPILED WORK | |
| სახელმძღვანელო | | – | 6 | – | 4 | 13 | MANUAL | |
| სულ | | 566 | 487 | 538 | 496 | 526 | TOTAL | |

# დავები
# DISPUTES

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქპატენტში სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ექსპერტიზასთან დაკავშირებით წარმოქმნილ დავებს კოლეგიური წესით განიხილავს საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატა, რომელსაც თავმჯდომარეობს საქპატენტის თავმჯდომარე.

2011 წელს საქპატენტში შემოვიდა 152 სააპელაციო საჩივარი, ამათგან 117 საჩივარი ეკუთვნოდა განმცხადებლებს, 35 კი – მესამე პირებს. წინა წლების მსგავსად, გასულ წელსაც საქპატენტის სააპელაციო პალატაში შემოსული საჩივრების უმრავლესობა სასაქონლო ნიშნების ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა (146 საჩივარი), რაც მიუთითებს აღნიშნული ობიექტებისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე. 4 საჩივარი შემოვიდა დიზაინზე, 1 – გამოგონებაზე და 1 – სასარგებლო მოდელზე.

წლის მანძილზე განხილულ იქნა 141 სააპელაციო საჩივარი, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 117, ნაწილობრივ – 5, ხოლო დანარჩენ 19 სააპელაციო საჩივარზე გამოტანილ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია, რომ საქპატენტის სააპელაციო პალატისა და ექსპერტიზის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია ადმინისტრაციული წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. აღსანიშნავია, რომ დღემდე სასამართლოში გასაჩივრებულია საქპატენტის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება

Under the legislation of Georgia, the Chamber of Appeals of the National Intellectual property Center of Georgia Sakpatenti hears disputes on the examination of the industrial property subject-matter. Chairman of Sakpatenti is the Chairman of the Chamber of Appeals.

In 2011, 152 appeals were filed with Sakpatenti. Of these, 117 appeals were filed from applicants and 35 from third parties. As in the previous years, in the reporting year too, the majority of appeals (146 appeals) filed with the Chamber of Appeal of Sakpatenti dealt with issues linked with examination of trademarks, which indicates the special interest of the public in these subject-matters. 4 appeals were filed with respect to designs, 1 was – with respect to invention and 1 – with respect to utility model.

During the year 141 appeals were heard, of which 117 appeals were upheld fully, 5 appeals – partially, and the remaining 19 appeals were refused.

It is noteworthy that the decision of the Chamber of Appeals of Sakpatenti and examination can be appealed at the board of administrative action of Tbilisi city court. The decisions of Sakpatenti on acquisition of rights in industrial property subject-matters such as invention, util-

## სააპელაციო პალატაში შემოსული და განხილული აპელაციების რაოდენობა
## NUMBER OF APPEALS FILED WITH AND CONSIDERED BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2009 | | 2010 | | 2011 | | სულ TOTAL | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. | მიღებ. FILED | განხილ. EXAMIN. |
| გამოგონება INVENTION | განმცხ. APPLIC. | 3 | 2 | 4 | 7 | | | 7 | 9 |
| | III პირი PARTY | | | | | 1 | 1 | 1 | 1 |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განმცხ. APPLIC. | | | 4 | | | 1 | 4 | 1 |
| | III პირი PARTY | | | | | 1 | | 1 | |
| დიზაინი DESIGN | განმცხ. APPLIC. | | | | | 4 | 3 | 4 | 3 |
| | III პირი PARTY | | | | | | | | |
| სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS | განმცხ. APPLIC. | 89 | 56 | 126 | 164 | 113 | 137 | 328 | 357 |
| | III პირი PARTY | 30 | 12 | 36 | 32 | 33 | 40 | 99 | 84 |
| სულ TOTAL | განმცხ. APPLIC. | 92 | 58 | 134 | 171 | 117 | 141 | 343 | 369 |
| | III პირი PARTY | 30 | 12 | 36 | 32 | 35 | 41 | 101 | 85 |

სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშანი) უფლებების მოპოვებას. სასამართლოში არ გასაჩივრებულა საქპატენტის გადაწყვეტილება საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების დეპონირებასთან დაკავშირებით, რაც აიხსნება იმით, რომ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების საქპატენტში დეპონირება არ წარმოადგენს საავტორო უფლებების წარმოშობის საფუძველს. რაც შეეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე უფლებების მოპოვებასთან დაკავშირებულ სასამართლოში განხილულ დავებს,

ity model, industrial design, trademark, have been appealed at the court. As to the decision of Sakpatenti with respect to the deposition of works protected by copyright have not been appealed at the court yet, which is explained by the fact that the deposition of the works protected by copyright with Sakpatenti is not the ground for the accrual of copyright. As regards the disputes heard in the court in connection with acquisition of rights in industrial property subject-matters, their majority again concerns

## სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა
## NUMBER OF DECISIONS TAKEN BY THE CHAMBER OF APPEALS

| ობიექტები SUBJECT-MATTERS | | 2009 | | | 2010 | | | 2011 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED | დაკმ. UPHELD | | უარი ეთქვა REJECTED |
| | | სრულად COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრულად COMPLETE | ნაწილ. PART. | | სრულად COMPLETE | ნაწილ. PART. | |
| გამოგონება INVENTION | განმცხ. APPLIC. | | | 2 | 2 | | 5 | | | |
| | III პირი PARTY | | | | | | | 1 | | |
| სასარგებლო მოდელი UTILITY MODEL | განმცხ. APPLIC. | | | | | | | | | 1 |
| | III პირი PARTY | | | | | | | | | |
| სამრეწველო ნიმუში INDUSTRIAL DESIGN | განმცხ. APPLIC. | | | | | | | | 1 | 2 |
| | III პირი PARTY | | 2 | | | | | | | |
| სასაქონლო ნიშნები TRADEMARKS | განმცხ. APPLIC. | 38 | 4 | 14 | 114 | 2 | 16 | 117 | 4 | 16 |
| | III პირი PARTY | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 24 | 3 | - | 37 |
| სულ TOTAL | განმცხ. APPLIC. | 38 | 4 | 16 | 116 | 2 | 21 | 117 | 5 | 19 |
| | III პირი PARTY | 8 | 3 | 3 | 6 | 2 | 24 | 4 | | 37 |

მათი უმრავლესობა კვლავ სასაქონლო ნიშნებს ეხება, რადგანაც აღნიშნული ობიექტი ყველაზე ფართოდ გამოიყენება ქართულ სამეწარმეო და კომერციულ საქმიანობაში.

2011 წელს საქპატენტმა მონაწილეობა მიიღო 23 სასამართლო განხილვაში, საიდანაც სასაქონლო ნიშნებზე უფლებების მოპოვებას ეხებოდა – 21, გამოგონებას – 2. აღნიშნული სასამართლო განხილვებიდან დავების უმრავლესობა საქპატენტის სასარგებლოდ გადაწყდა, სასამართლოს მიერ საქპატენტის მიმართ სარჩელი დაკმაყოფილდა სამ შემთხვევაში. ორ განხილვაში კი საქპატენტი სცნეს არასათანადო მოპასუხედ.

trademarks, as this subject-matter is the most widely-used in Georgian entrepreneurial and commercial activity.

In 2011 Sakpatenti participated in 23 hearings, of which 21 were linked with acquisition of rights in trademarks and 2 – with inventions. The majority of the disputes were settled in favour of Sakpatenti, 3 appeals against Sakpatenti were upheld by the court. In 2 hearings Sakpatenti was regarded as an improper defendant.

# კანონშემოქმედება
# LAWMAKING

2011 წელს საქპატენტში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქართული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში აღმოიფხვრა პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები, შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები. კერძოდ:

- 2011 წლის 11 ოქტომბერს „საქონლის ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნების საქართველოში რეგისტრაციისას განმცხადებელი არის საჯარო ხელისუფლების ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქპატენტს მიენიჭა სხვა ქვეყნებში საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობების დასახელებებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და დაცვისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების უფლებამოსილება.
- 2011 წლის 23 დეკემბერს „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელთათვის რეგისტრაციის პროცედურების

In 2011 active work was under way in Sakpatenti for the harmonization of legislative framework of Georgia in intellectual property. Taking into account international recommendations and practice, shortcomings related to the legislation of Intellectual Property were eradicated, a series of amendments were made. In particular:

- On October 11, 2011, an amendement was made to the Law of Georgia on Appellations of Origin and Geographical Indications of Goods, according to which, if at the time of registration of an appellation of origin or geographical indication in Georgia, the applicant is a public authority or legal entity of public law, "Sakpatenti" is authorized to carry out measures necessary for the registration and protection in another state of an appellation of origin or geographical indication, which is registered in Georgia.
- On December 23, 2011, significant amendments were made to the Law of Georgia on Border Measures Related to Intellectual Property, aimed at simplifying the procedures for registration of intellectual property right holders. A right holder

გამარტივებას. უფლების მფლობელს საშუალება ეძლევა საქპატენტისთვის მიმართვის გზით, მისი კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მიმართ, მოითხოვოს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელება, როგორც ობიექტის რეგისტრაციის პროცესში, ისე მისი დასრულების შემდგომ.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საქპატენტს დაევალა ინსტრუქციების და დებულებების გამოცემა.

ამ მიზნით 2011 წელს საქპატენტმა შეიმუშავა და გამოსცა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №01 ბრაძებით დამტკიცდა დებულება „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ", რომლითაც დეტალურად განისაზღვრა საქართველოს პატენტრწმუნებულთა ატესტაციისა და რეგისტრაციის წესი და პირობები, ასევე, პატენტრწმუნებულთა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. განისაზღვრა და შესაბამისად გამჭვირვალე გახდა საატესტაციო კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები. აღნიშნული დებულების თანახმად, პატენტრწმუნებულთა ატესტაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც უმაღლესი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, ისე იურიდიული განათლების მქონე პირებს.
- საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცდა, აგრეთვე, „საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულება", რომლითაც განისაზღვრა საქპატენტის სააპელაციო პალატის ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილება, დეტალურად გაიწერა სააპელაციო პალატაში მიმართვისა და საქმისწარმოების წესები.

is entitled, by means of applying to Sakpatenti, to register a request concerning implementation of border measures with respect to his intellectual property object, in the process of registration of the object as well as after its completion.

It is noteworhy that according to legislative changes carried out in 2010 Sakpatenti was entrusted to issue a number of instructions and statutes.

In 2011 Sakpatenti issued the following normative acts:

- Statute on Patent Attorneys of Georgia was approved by Order N01 of the Chairman of Sakpatenti of January 12, 2011, which defines in detail the rule and terms of certification and registration of patent attorneys of Georgia and the issues related to activities of patent attorneys. Principles of establishing and work of the Certification Commission was determined and rendered transparent. Under this Statute, persons holding higher technical and natural science as well as legal education degree are eligible to participate in the certification of patent attorneys.
- Statute of the Chamber of Appeals at Sakpatenti was approved by Order N02 of the Chairman of Sakpatenti of March 18, 2011, which defined functions, structure and authority of the Chamber of Appeals at Sakpatenti, the rules of appealing and proceedings at the Chamber of Appeals were determined in detail.

- საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის №03 ბრძანებით დამტკიცდა „დიზაინის რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია". აღნიშნული ინსტრუქციით, კანონის საფუძველზე, დეტალურად განისაზღვრა დიზაინის სარეგისტრაციოდ განაცხადის შედგენის, წარდგენის, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის პროცედურები.
- საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 14 დეკემბრის №04 ბრძანებით დამტკიცდა ინსტრუქცია „გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ", რომელიც არეგულირებს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმების, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

- Instruction on Design Registration was approved by Order N03 of the Chairman of Sakpatenti of December 14, 2011, which, in accordance with the law, defines in detail drawing up, filing, examination and registration procedures of a design application.
- Instruction on Procedures Related with Drafting and Filing Applications for Inventions and Utility Models and Granting a Patent was approved by Order N04 of the Chairman of Sakpatenti of December 14, 2011, which regulates in detail procedures of drafting and filing applications for inventions and utility models and issuing a patent.

# საერთაშორისო ურთიერთობები
# INTERNATIONAL RELATIONS

2011 წელი საქპატენტისათვის გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მრავალი ახალი ინიციატივითა და გამოწვევით. გასულ წელს საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი ახალი პროექტი და გაღრმავდა ორმხრივი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყანასთან.

გასული წელი აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად, 14 ივნისს ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარების შესახებ", რომლის რატიფიცირება დაგეგმილია 2012 წლის დასაწყისში. ეს შეთანხმება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს ევროპის ბაზარზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ქმედითი დაცვისათვის. ის, აგრეთვე,




საქართველო ისმო-ს რეგიონალური ჯგუფის თავმჯდომარე გახდა
*Georgia elected as a WIPO regional group coordinator*



For Sakpatenti the year 2011 was distinguished by numerous new initiatives and challenges in the direction of international relations in intellectual property field. With the support of the Government of Georgia and international organizations, a number of new and interesting projects were implemented and bilateral relations were strengthend with various countries.

The reporting year was also noteable for the fact that on June 14, as a result of long negotiations between Georgia and the European Union, the Agreement between the European Union and Georgia on Protection of Geographical Indications of Agricultural Products and Foodstuffs was signed in Brussels. The Agreement was submitted to the European Parliament for internal procedures and its ratification. This Agreement is a very significant mechanism for effective protection on the European market of one of the major incomes of

ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე ევროპაში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას.

გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გაფორმების მიზნით, 2011 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები როგორც ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებთან (თურქეთი, ჩინეთი), ისე დსთ-ს სივრცეში შემავალ ქვეყნებთან (ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი).

მნიშვნელოვანია, რომ 2011 წელს საქპატენტს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს საქართველოში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სხვა სახელმწიფოში რეგისტრაციისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. საქპატენტი აქტიურად ჩაერთო ქართული ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვის საქმეში უცხოეთის ქვეყნებში. ამ მიზნით დაიგეგმა რამდენიმე ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში, ბელარუსში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში – კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, საქპატენტმა შეიტანა განაცხადები ყაზახეთში ქართული გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრირების მიზნით.

2011 წელსაც საქპატენტის საქმიანობის პრიორიტეტს წარმოადგენდა შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების, სამრეწველო საკუთრების უფლებების დაცვის სამსახურების, საავტორო უფლებების კოლექტიური მართვის ორგანიზაციების კონსოლიდაციის, ასევე, მესამე ქვეყნების მთავრობებთან და სამრეწველო გაერთიანებებთან თანამშრომლობის გაფართოების მიზნით ამ ქვეყნებთან ინტელექტუალური საკუთრების სფეროში არსებული ხელშეკრულებების განახლება და ახალი ხელშეკრულებების გაფორმება.

- 2011 წელს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინსტიტუციური კოორდინაციის მექანიზმების დან-

Georgia's export – agricultural products, it will also facilitate protection of registered geographical indications on the territory of Georgia. For the purpose of conclusion of bilateral agreements on mutual recognition and protection of geographical indications, in 2011 negotiations were under way with non-member countries of the EU as well (Turkey, China), especially in the CIS space (Belarus, Kazakhstan, Kyrgyzstan, Uzbekistan, Azerbaijan and Armenia).

It is significant that in 2011 Sakpatenti was authorized to implement necessary measures for registration and protection in another state of an appellation of origin and geographical indication registered in Georgia and became actively engaged in the protection of Georgian geographical indications in other countries. For this purpose several official visits were planned in the CIS space, namely, Ukraine, Belarus, Kazakhstan, Kyrgyzstan. As a result of consultations and negotiations, Sakpatenti filed applications for registration in Kazakhstan.

Conclusion and renewal of existing treaties on intellectual property protection with third countries remains a priority of



*ისმო-ს გენერალური დირექტორი ფრენსის გარი და საქპატენტის თავმჯდომარე ხელს აწერენ თანამშრომლობის შეთანხმებას*
*WIPO Director General Francis Gurry and Chairman of Sakpatenti signing Cooperation Agreement*

ერგვისა და ახალი პროექტების განხორციელების მიზნით, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის არაერთ მემორანდუმს სხვადასხვა უწყებასთან, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. კერძოდ, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ:

- 2011 წლის 4 მაისს ამერიკის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან ხელი მოეწერა მემორანდუმს ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ, რომლის ძირითადი მიზანია ინფორმაციის გაზიარებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადმინისტრირება და უფლებების დაცვის აღსრულების თანამედროვე პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარება, ასევე, თანამშრომლობის გაღრმავება სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით.
- 2011 წლის 10 თებერვალს ხელი მოეწერა ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) თანამშრომლობის პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საპატენტო ექსპერტების კვალიფიკაციის ამაღლებას, თანამედროვე პროგრამების გამოყენებით ავტომატიზებული ძიების ჩატარებას, საპატენტო

Sakpatenti in 2011 for the purpose of consolidation of relevant institutional structures as well as industrial property rights protection services, copyright protection and collective management organizations.

For the purpose of introduction of institutional coordination mechanisms and implementation of new projects in the field of intellectual property in 2011 a number of memorandums of cooperation were signed with different institutions, both in Georgia and abroad. In particular, the following are noteworthy:

- On May 4, 2011, a Memorandum of Bilateral Cooperation was signed with the United States Patent and Trademark Office, the main goal of which is organization of measures aimed at information sharing and public awareness raising, intellectual property rights administration and development of modern policy and practice on enforcement of rights protection, deepening of cooperation in the direction of measures for improvement of legal protection.
- On February 10, 2011, a Program of Cooperation Activities between





*მემორანდუმის გაფორმება ისრაელის საპატენტო უწყებასთან*
*Memorandum with the Israel Patent Office*

*სურათზე: ასა კლინგი – ისრაელის საპატენტო უწყების უფროსი, მაიკლ ბარტი – ისრაელის საპატენტო უწყების PCT-ის დეპარტამენტის უფროსი, ზურაბ ჭიაბერაშვილი – საქართველოს ელჩი შვეიცარიაში, ეკატერინე ყიფიანი – შვეიცარიაში საქართველოს ელჩის მრჩეველი, ირაკლი ღვალაძე – საქპატენტის თავმჯდომარე*
*On the photo: Asa Kling – Head of Israel Patent Office, Michael Bart – Director of the PCT Department of the Israel Patent Office, Zurab Chiaberashvili – Ambassador of Georgia to Swiss Federation, Ekaterine Kipiani – Senior Councilor of the Ambassador, Irakli Ghvaladze – Sakpatenti Chairman*

მონაცემთა გაცვლასა და გამოყენებას, აგრეთვე, დახმარებას რეგიონალური ცენტრების შექმნისთვის თანამშრომელთა ტრენინგების ჩატარებაში.

- 2011 წლის 26 სექტემბერს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან.
- 2011 წლის 28 სექტემბერს ისრაელის საპატენტო უწყებასა და საქპატენტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაცია.
- 2011 წლის 24 ნოემბერს ხელი მოეწერა მემორანდუმს ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ საქპატენტსა და ბელარუსის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის. ბელარუსის რესპუბლიკა საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია, ამიტომ მეტად აქტუალურია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებში ამ ქვეყნის შესამაბის სტრუქტურებთან თანამშრომლობა.

აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია საქპატენტის კადრების პროფესიული გადამზადებაც. მნიშვნელოვანია, რომ ანალოგიური შეთან-

Sakpatenti and the European Patent Office (EPO) was signed which envisages capacity building of Sakpatenti examiners by EPO, carrying out automated search by means of modern programs, assistance in patent data exchange and use as well as training for establishment of regional centers.

- On September 26, 2011, an Agreement on the cooperation was signed with the Danish Patent and Trademark Office.
- On September 28, 2011, a Declaration of Intent on the cooperation was signed between Sakpatenti and the Israel Patent Office.
- On November 24, 2011, a Memorandum of Understanding between Sakpatenti and National Intellectual Property Centre of the Republic of Belarus. Considering that the Republic of Belarus is one of the most important trade-economic partners for Georgia, cooperation is urgent with the respective structures of this country in the intellectual property protection field.

Within these Memorandums, along





*მემორანდუმის გაფორმება აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან*
*Signing Memorandum with the United States Patent and Trademark Office (USPTO)*
*ფოტოებზე: ტერესა სტანეკ რეა – აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორის მოადგილე, დევიდ კაპოსი – აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორი, ირაკლი ღვალაძე – საქპატენტის თავმჯდომარე, ეკატერინე ეგუტია – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე*
*On the photos: Teresa Stanek Rea – Deputy Director of the USPTO, David Kappos – Director of the USPTO, Irakli Ghvaladze – Sakpatenti Chairman, Ekaterine Egutia – Deputy Chairman of Sakpatenti*

ხმებების გაფორმების მიზნით, გრძელდება მოლაპარაკებები სხვა ქვეყნების საპატენტო უწყებებთანაც (შვედეთი, ავსტრია, ყირგიზეთი, თურქეთი).

2011 წელს საქპატენტმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან. მათ შორის:

- 25 იანვარს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა და საქპატენტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის ჩამოყალიბების მიზნით.
- 2011 წლის 7 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის გაფორმდა ურიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი მიზნობრივი პროექტების განხორციელებას, აქტიურ თანამშრომლობას საქართველოში ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის დაარსების პროექტის ფარგლებში.
- 4 აპრილს ხელი მოეწერა ბიზნეს პროგრამების ალიანსთან (BSA) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია კომპეტენციის




*გიორგი ქურდიანი – საქპატენტის საფინანსო დეპარტამენტის უფროსი და რეზო თაბუკაშვილი – საქპატენტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ისმო-ს სემინარზე „ინტელექტუალური საკუთრება და კონკურენცია“. ყაზახეთი, ასტანა*
*Giorgi Kurdiani – Head of Financial Department of Sakpatenti and Rezo Tabukashvili – Head of Administrative Department of Sakpatenti at WIPO seminar on "IP and Competition Policy". Kazakhstan, Astana*

with other issues, professional training of Sakpatenti staff is also envisaged. It is significant that for the purpose of concluding similar agreements negotiations are under way with patent offices of other countries as well (Sweden, Austria, Kyrgyzstan, Turkey).

In 2011 Sakpatenti signed memorandums of understanding with various educational institutions and organizations in Georgia. Among them:

- On 25 January, 2011 Memorandum of Understanding between the German International Cooperation Society (GIZ) and Sakpatenti on support on Technology and Innovation Transfer in Georgia.
- On February 7, 2011 a memorandum of understanding was signed with the Georgian State Agrarian University. The memorandum provides for implementation of joint target projects, active cooperation within the project for establishment of a Technology Transfer Centre in Georgia.
- On April 4, 2011 a memorandum of understanding was signed with the Business Software Alliance (BSA), which aims implementation of measures and institutional consolidation within the competence against the use of illegal software.
- On May 4, 2011 a memorandum of understanding was concluded between Sakpatenti and the Office of the State Minister of Georgia for Diaspora Issues. The memorandum provides for adequate protection of intellectual potential of the Georgian people on the territory of Georgia and abroad.

ფარგლებში არალეგალური სოფტის გამოყენების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება და ინსტიტუციური კონსოლიდაცია.

- 4 მაისს საქპატენტსა და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ქართველი ხალხის ინტელექტუალური პოტენციალის სათანადოდ დაცვას, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.
- 22 ივნისს საქპატენტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს მიზნობრივი პროექტების განხორციელებას ინტელექტუალური საკუთრებისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით .
- 11 ნოემბერს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

2011 წელი გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (ისმო) აქტიური თანამშრომლობით. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო 2011 წლის 28 სექტემბერს, ისმო-ს წევრი სახელმწიფოების 49-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში გამართულ სხდომაზე საქართველოს არჩევა რეგიონული ჯგუფის კოორდინატორად. ჯგუფი შედგება კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, რომელშიც შედიან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, ყირგიზეთი, ყაზახეთი, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი. 2011 წლის მანძილზე საქართველო ისმო-ს საკომიტეტო სხდომებსა თუ შეხვედრებ-

- On June 22, 2011 a memorandum of understanding was signed between Sakpatenti and the Georgian National Museum. The memorandum, along with other issues, proceeding from common interests, envisages implementation of target projects, which will be directed towards the promotion of protection of intellectual property and cultural heritage of Georgia.
- On November 11, 2011 memorandums of understanding were signed with Ilia State University and Georgian Technical University.

The year 2011 was noteworthy for the active cooperation with the World Intellectual Property Organization (WIPO). The event of particular importance was the election of Georgia as the Coordinator of the WIPO Regional Group at the meeting held in the framework of the Forty-Ninth Series of the Assemblies of the Member States of the World Intellectual Property Organization (WIPO) on September 28, 2011. The group consists of the Caucasian, Central Asian & Eastern European Countries: Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Kyrgyzstan, Kazakhstan, Russian Federation,



ისმო-ს სემინარზე „ინტელექტუალური საკუთრება და კონკურენცია“. ყირგიზეთი

At WIPO Seminar "IP and Competition". Kyrgyzstan

ზე გამოდიოდა რა რეგიონული ჯგუფის სახელით, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გაახმოვანა და მხარი დაუჭირა ჯგუფში შემავალი ქვეყნების არაერთ ინიციატივას.

2011 წლის სექტემბერში, ისმო-ს 49-ე გენერალურ ასამბლეაზე ხელი მოეწერა საქპატენტისათვის მეტად პრიორიტეტულ თანამშრომლობის ორ ოქმს. ეს არის ოქმი ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ხელშეწყობის ცენტრების (TISC) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ და ოქმი ისმო-ს სამრეწველო საკუთრების ავტომატიზაციის სისტემის დანერგვის (IPAS) შესახებ.

გასულ წელს ისმო-ს მხარდაჭერით საქპატენტმა ჩაატარა არაერთი ღონისძიება, კერძოდ:

29-31 მარტს საქპატენტს სტუმრად ეწვია ისმო-ს ექსპერტთა ჯგუფი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის სისტემის შესასწავლად. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა სამთავრობო უწყებასა და უმაღლეს სასწავლებლებთან, რამაც განაპირობა ისმო-სთან ერთობლივი პროექტის (TISC) ფარგლებში თანამშრომლობის ოქმის გაფორმება.

- 6 აპრილს თბილისში ისმო-სა და საქპატენტის ორგანიზებით გაიმართა სემინარი საავტორო უფლებების



*თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან*
*Memorandum of Cooperation between Sakpatenti and the Danish Patent and Trademark Office (DKPTO)*
*ფოტოზე: ირაკლი ღვალაძე – საქპატენტის თავმჯდომარე, ჯესპერ კონგსტადი – დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორი*
*On the photo: Irakli Ghvaladze – Sakpatenti Chairman, Jesper Kongstad – Director of the DKPTO*

Tajikistan, Turkmenistan, Ukraine and Uzbekistan. During the reporting year Georgia appeared on behalf of the Regional Group and, defending common interests, voiced and supported numerous initiatives of the member countries of the group.

At the Forty-Ninth Series of the Assemblies of the Member States of WIPO, held in September, the following two Cooperation Agreements were signed: Agreement with regard to establishing and supporting Technology and Innovation Support Centers (TISCs): and Cooperation Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia and the World Intellectual Property Organization on introduction of WIPO Industrial Property Automation System (IPAS) Software.

Last year Sakpatenti organized a series of events, with the support of WIPO. Namely:

On March 29-31, a group of experts from WIPO visited Sakpatenti on the technology and innovation transfer system assessment mision. During the visit meetings were held with various government agencies and higher educational institutions, which led to the signing of a protocol of cooperation with WIPO within the joint project (TISC).

- On April 6, 2011 a seminar on copyright enforcement issues, organized by Sakpatenti and WIPO, took place in Tbilisi. The seminar was delivered by officials of Sakpatenti and Mr. Mikhal Ficsor, an invited expert, Chairman of the Central and Eastern European Copyright Alliance (CEECA).
- On 13-17 June, experts from the WIPO

აღსრულების თემაზე, რომელიც ჩაატარეს საქპატენტის ხელმძღვანელმა პირებმა და მოწვეულმა ექსპერტმა – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საავტორო უფლებების ალიანსის თავმჯდომარემ მიხალ ფიჩორმა;

- 13-17 ივნისს განაცხადების დამუშავების არსებული სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საქპატენტში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ისმო-ს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის დეპარტამენტის ექსპერტები. დაისახა გზები ისმო-ს საჯარო მონაცემთა ბაზაში საქპატენტის მონაცემების ავტომატური ასახვის სისტემის შექმნისათვის. საქპატენტს გადაეცა ისმო-ს ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ინტელექტუალური საკუთრების მონაცემთა ბაზების მართვის პროგრამული უზრუნველყოფის საცდელი ვერსია. არსებული ვითარების შესწავლის საფუძველზე, მომზადდა ანგარიში, რომელშიც აისახა საქპატენტის ავტომატიზაციის არსებული სისტემის გაუმჯობესების მოდელი და რეკომენდაციები;
- 13-15 სექტემბერს საქპატენტისა და ისმო-ს ორგანიზებით ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ცენტრების ჩამოყალიბების პროექტის ფარგლებში, თბილისში გაიმართა ტრენინგი საქპატენტის თანამშრომლების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებისა და ბიზნეს სექტორისთვის.

საანგარიშო წლის მანძილზე საქპატენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ისმო-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, სესიებისა და საკომიტეტო სხდომების მუშაობაში და სხვა ღონისძიებებში. მათ შორის:

- VI გლობალური კონგრესი თემაზე: „ბრძოლა კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ" (2-3 თებერვალი, პარიზი);

Infrastructure Modernization Department visited Sakpatenti with the purpose of familiarization and improvement of the existing system of application handling in the Office. A program was outlined in order to create an automated system of migration of Sakpatenti data into the WIPO public database. WIPO representatives transferred a trial version of intellectual property database management software to Sakpatenti, worked out by the WIPO Infrastructure Modernization Department. On the basis of the study of the current situation, the report was prepared, in which the model for improvement of the existing automation system of Sakpatenti and relevant recommendations were reflected.

- On September 13-15, a National TISC Workshop on Innovation Support through Access to Technical Knowledge, organized by Sakpatenti and WIPO within the framework of the project on establishment of Technology and Innovation Support Centers, was held in Tbilisi for Sakpatenti staff, representatives of universities and business sector.



*შეხვედრა საქართველოში ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის ჩამოყალიბების საკითხზე*
*Meeting on the establishment of the technology transfer center in Georgia*

- XVII საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ინტელექტუალური საკუთრების აქტუალური და პრობლემური საკითხები", სადაც მონაწილეობა მიიღო საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ (22-24 თებერვალი, ლვოვი);
- საერთაშორისო კონფერენცია გლობალურ და ევროპულ ინიციატივებზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედ სტრუქტურებს შორის საქმიანობის განაწილების შესახებ და ევროპელ გამომგონებელთა დაჯილდოების ცერემონია (16-20 მაისი, ბუდაპეშტი);
- ისმო-ს ეროვნული ბრენდინგის ინსტრუქციაზე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (25-28 მაისი, სტამბული,);
- კონფერენცია ისმო-ს განვითარების გეგმაზე (13-17 ივნისი, ბიშკეკი);
- ისმო-ს 49-ე გენერალური ასამბლეა (25 სექტემბერი, ჟენევა);
- ისმო-ს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ინტელექტუალური საკუთრების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (6 სექტემბერი, ბელგრადი);
- სასაქონლო ნიშნების, სამრეწველო ნიმუშებსა და გეოგრაფიული აღნიშვნების მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომა (26-28 ოქტომბერი, ჟენევა);
- სპეციალიზებული კურსი ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნებისათვის ტექნოლოგიებისა და ინო-



*ისმო-ს სემინარი ინტერნეტმეკობრეობის საკითხებზე, თბილისი*
*WIPO's Seminar on Internet Piracy, Tbilisi*

Sakpatenti employees participated in a number of meetings, sessions, committee meetings organized by WIPO and other events, including:

- The 6th Global Congress on Combating Counterfeiting and Piracy (February 2-3, Paris);
- The 17th international conference on Actual Problematic Issues of Intellectual Property organized by the World Intellectual Property Organization (WIPO) was held in Lviv, Ukraine on February 21-24, 2011. Chairman of SAKPATENTI Mr. Irakli Ghvaladze attended the event;
- International Conference on Global and European Initiatives for Sharing Work Between Intellectual Property Authorities and the ceremony of the European Inventor Award (May 16-20, Budapest);
- Meeting of the Working Group on WIPO tool on Nation Branding (25-28 May, Istanbul);
- WIPO Seminar on the Implementation of the WIPO Development Agenda (June 13-17, Bishkek);
- 49th Series of the Assemblies of the Member States of the World Intellectual Property Organization (WIPO) (September 25, Geneva);
- WIPO Working Group Meeting on intellectual property enforcement issues (September 6, Belgrade);
- Session of Standing Committee on the Law of Trademarks, Industrial Designs and Geographical Indications (26-28 October, Geneva);
- Specialized course for Central Asian and Caucasian countries on technology and innovation transfer (November 28

ვაციების გადაცემის სფეროში (28 ნოემბერი-7 დეკემბერი, თელავივი);

- რეგიონალური სემინარი თემაზე „ინტელექტუალური საკუთრება და კონკურენცია" (28-29 ნოემბერი, ბიშკეკი);
- საერთაშორისო სიმპოზიუმი სამრეწველო ნიმუშების დაცვის საკითხებზე (16-17 ნოემბერი, სანტიაგო);
- ისმო-ს პატენტების მუდმივმოქმედი საბჭოს სხდომა (5-10 დეკემბერი, ჟენევა);
- ისმო-ს ლისაბონის სისტემის განვითარების სამუშაო ჯგუფის მეოთხე სესია (12-14 დეკემბერი, ჟენევა);
- ექსპერტების რეგიონალური შეხვედრა გარდამავალ ქვეყნებში ტრადიციულ ცოდნასთან დაკავშირებით (20-21 დეკემბერი, კოშიცე).

საქპატენტისათვის მეტად მნიშვნელოვანია ევროპის საპატენტო უწყებასთან (EPO) ურთიერთობების გაღრმავება, რომელიც 2010 წლიდან შეინიშნება. ამ ხნის განმავლობაში შედგა არაერთი სამუშაო შეხვედრა საქპატენტისა და ევროპის საპატენტო უწყებასთან მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე, რაც საფუძვლად დაედო 2011 წლის 10 თებერვალს ქ. მიუნხენში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას. მემორანდუმში აისახა მრავალმხრივი სასწავლო პროგრამის განხორციელების გეგმები და მხარდაჭერა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის სისტემის დანერგვის მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია EPO-ს მონაცემთა ბაზებში ეროვნული საპატენტო ინფორმაციის ინტეგრირება, რაც მიზნად ისახავს საქპატენტის დაახლოებას ევროპის საპატენტო სისტემასთან.

აღსანიშნავია 2011 წლის განმავლობაში EPO-ს მხარდაჭერით ჩატარებული ტრეინინგები, სემინარები და სამუშაო შეხვედრები. კერძოდ:

- სემინარი საქპატენტის თანამშრომლებისთვის, პატენტრწმუნებულებისა

– December 7, Tel-Aviv);

- Regional Seminar on Intellectual Property and Competition Policy (November 28-29, Bishkek);
- International Symposium on Industrial Designs (November 16-17, Santiago);
- Session of WIPO Standing Committee on the Law of Patents (December 5-10, Geneva);
- Fourth Session of the WIPO Working Group on the Lisbon System (December 12-14, Geneva);
- Inter-Regional Experts Meeting on Traditional Knowledge in Countries in Transition (December 20-21, Kosice).

Strengthening of relations between the European Patent Office (EPO) is very significant for Sakpatenti, which is observable from 2010. Over this period a number of workshops took place at Sakpatenti and EPO on future cooperation issues, which served as the basis for conclusion of the Program of Co-operation on February 10, 2011 in Munich. The document reflected plans for implementation of comprehensive training program and support in the direction of establishment of technology and innovation transfer system. Integration of national patent information in EPO databases is also noteworthy. This step serves bringing Sakpatenti closer to the European patent system.

Trainings, seminars and workshops held in 2011 with the EPO support are noteworthy. Namely:

- Seminar took place on EPO approach in examining patent applications in the field of medicinal chemistry for

და სტუდენტებისთვის ევროპის საპატენტო უწყების მიდგომებზე სამედიცინო ქიმიის განაცხადების ექსპერტიზასთან დაკავშირებით ( 28-30 მარტი);

- EPO-ს ექსპერტის ვიზიტი საქპატენტში საპატენტო ადმინისტრირების პროცესის შესასწავლად (6-10 ივნისი);
- EPO-ს ექსპერტის მიერ ჩატარებული ტრენინგი კომპიუტერული გამოგონებათა ექსპერტიზაზე ( 27-28 ივლისი);
- EPO-ს დაფინანსებით საქპატენტის თანამშრომლების მონაწილეობა მოლდოვაში გამართულ მრავალმხრივ სამუშაო შეხვედრაში თემაზე „საპატენტო უწყებებისა და საინოვაციო პოლიტიკის განსაზღვრა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში" (25-26 ოქტომბერი);
- საპატენტო ინფორმაციის საკითხებზე საქპატენტის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, EPO-ს ვენის ოფისში გავლილი ტრენინგი (5-7 დეკემბერი);
- თანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და ახალი გეგმების დასახვის მიზნით, EPO-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნინა ფორმბის ვიზიტი საქპატენტში (23-25 ნოემბერი).

გასული 2011 წელი საქპატენტისათვის აღსანიშნავი იყო აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასთან



საქპატენტის დელეგაციის ვიზიტი ასტანაში
*Visit of SAKPATENTI delegation in Astana*

Sakpatenti staff, patent attorneys and students (March 28-30);

- EPO expert visited Sakpatenti for the study of patent administration process (June 6-10);
- EPO expert delivered a training on the topic of examination of computer implemented inventions and familiarized Georgian examiners with the EPO approaches (July 27-28);
- EPO financed Sakpatenti employees for participation in the multi-country Workshop for patent offices and innovation policy makers from the European Neighbouring Countries, held in Moldova (October 25-26);
- Training on patent information held at the EPO Vienna Office for Sakpatenti staff members (December 5-7);
- Visit of Ms. Nina Formby, Head of International Affairs Department at EPO in Sakpatenti for the purpose of fulfillment of obligations under the Program of Cooperation and outlining new plans (23-25 November).

The year 2011 was remarkable in terms of strengthening cooperation with the United States Patent and Trademark Office (USPTO). For the purpose of future cooperation in the intellectual property field and introduction of the e-filing system, Mr. David J. Kappos, Director of the United States Patent and Trademark Office, and Mr. Irakli Ghvaladze, Chairman of Sakpatenti, signed a memorandum of understanding on May 4, 2011. The memorandum envisages support in introduction of e-filing system and development of the technology transfer system in Georgia, ca-

(USPTO) თანამშრომლობის გაღრმავებით. ორ ქვეყანას შორის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამომავლო თანამშრომლობისა და განაცხადების ელექტრონული წარდგენის სისტემის დანერგვის მიზნით, 2011 წლის 4 მაისს აშშ-ს პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყების დირექტორმა დევიდ კაპოსმა და საქპატენტის თავმჯდომარემ ირაკლი ღვალაძემ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში განაცხადების ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ტექნოლოგიების გადაცემის სისტემის განვითარების ხელშეწყობას, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სასწავლო პროგრამების განხორციელებას და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ 2011 წელს გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მთელი რიგი პროექტების განხორციელების მიზნით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამშრომლობა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტთან „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა" (USAID Economic Prosperity Initiative) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ).

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ინოვაციების ხელშეწყობის და ცოდნის გავრცელების მიზნით, 2010 წლის 25 თებერვალს GIZ-თან გაფორმებული ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2011 წელს დასრულდა საქართველოში ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის ჩამოყალიბების პროცესი. აღნიშნული ცენტრის ძირითადი მიზანია საქართველოში შექმნას საინოვაციო გარემო და ხელი შეუწყოს გამოგონებების კომერციალიზაციის პროცესს. გარდა ამისა, GIZ-თან თანამშრომლობით დაიგეგმა და განხორციელ-

pacity building of staff, implementation of study programs, etc.

It is important that in 2011 cooperation continued with international donor organizations in a number of projects. Cooperation with the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID) and the German International Cooperation Society (GIZ) is especially noteworthy.

In 2011 the process of establishment of a Technology and Innovation Transfer Centre was completed on the basis of the memorandum of understanding signed between Sakpatenti and GIZ for the purpose of promoting innovation and dissemination of knowledge in the field of intellectual property on February 25, 2010. The main goal of the centre is to create an innovation environment in Georgia and to promote the commercialization process. Joint activities were planned and implemented in cooperation with GIZ, in particular:

- On May 2, 2011, a kick-off Meeting on Development of a National Technology and Innovation Transfer System was organized by Sakpatenti and GIZ.



კონფერენცია ლვოვში ინტელექტუალური საკუთრების აქტუალურ საკითხებზე
Conference in Lviv on Actual Problematic Issues on Intellectual Property

და არაერთი ერთობლივი ღონისძიება, კერძოდ:

- 2011 წლის 2 მაისს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის სისტემის განვითარების საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ბიზნესის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და მთავრობის წარმომადგენლები;
- 2011 წლის 29 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით, საქპატენტის დელეგაცია თავმჯდომარის ირაკლი ღვალაძის ხელმძღვანელობით, საქართველოში ტექნოლოგიების გადაცემისა და ინოვაციების ცენტრების დაარსების მიზნით, იმყოფებოდა გერმანიის რამდენიმე ქალაქში, სადაც საქართველოს მთავრობა, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და უნივერსიტეტების ხელმძღვანელები გაეცნენ გერმანიის ანალოგიური ცენტრების მუშაობის პრაქტიკასა და გამოცდილებას;
- ქართული ფოლკლორის სამართლებრივი დაცვის მიზნით, ახალ კანონზე დაწყებულ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 2011 წლის 24 იანვარს საქპატენტს სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია მიუნხენის მაქს პლანკის სახელობის ინსტიტუტის ინტელექტუალური საკუთრებისა და კონკურენციის სამართლის დეპარტამენტის უფროსი სილკე ფონ ლევინსკი;



ისმო-ს გენერალურ ასამბლეაზე
*At WIPO General Assembly*

The seminar was attended by business sector, researchers and government representatives;

- On June 29 – July 6, a delegation from Georgia paid an official visit to Germany organized in cooperation with the German International Cooperation Society (GIZ) and Sakpatenti. Heads of higher educational institutions, Sakpatenti officials, representatives of public and private sector shared experience of the German technology and innovation transfer centers.
- On January 24, 2011 Ms. Silke Fon Levinskij, Head of Intellectual Property and Competition Law Department of Max Plank Institute of Munich, paid a three-day visit to Sakpatenti. The expert's mission covered participation in the drafting of a new law that has to ensure legal protection of Georgian folklore;
- On October 12-13, 2011 a Business Plan Workshop was organized in Sighnaghi on the setting-up of a Technology Transfer Center (TTC).

It should be noted that the process of formation of the system of electronic filing of applications began in 2010 with the support of the Economic Prosperity Initiative (EPI) of the United States Agency for International Development (USAID). At the first stage the analysis of the current business processes at Sakpatenti was planned for the purpose of their simplification and facilitation of information exchange/access. This process was completed and the next stage of the project continued in 2011. The electronic filing system pro-

- 2011 წლის 12-13 ოქტომბერს სიღნაღში მოეწყო ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრის ბიზნეს გეგმის განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2010 წელს, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის" ხელშეწყობით, დაიწყო განაცხადების ელექტრონული წარდგენის სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. პირველ ეტაპზე, გამარტივებისა და ინფორმაციის გაცვლის/მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა საქპატენტში მიმდინარე ბიზნეს პროცესების ანალიზი და პროექტის განხორციელებისათვის არსებული რესურსების შეფასება. შემდგომი ეტაპი გაგრძელდა 2011 წელს. ელექტრონული ფაილინგის პლატფორმა ითვალისწინებს საქპატენტსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობების გამარტივებას და ეფექტურობის გაზრდას სპეციალიზირებული ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ვებტექნოლოგიებზე მომუშავე ინტელექტუალური საკუთრების განაცხადების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის თანამედროვე პროგრამულ გადაწყვეტილებას. სისტემაში რეალიზებულია არა მხოლოდ გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის ფუნქციები, არამედ საქპატენტის შიდა პროცედურებიც, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს განაცხადების განხილვისა და დაცვის სერტიფიკატების გაცემის პროცესს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო განმცხადებლებისათვის.

გარდა აღნიშნული პროექტისა, 2011 წლის მანძილზე საქპატენტმა ჩაატარა ერთობლივი ღონისძიებები USAID EPI-სთან ერთად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით. მათ შორის:

- 2011 წლის 24 თებერვალს, ამერიკის საერთაშორისო განვითარების საა-



*თანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან*
*Memorandum with GIZ*
*ფოტოზე: იორგ ოელშლეგერი – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების კერძო სექტორის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი, ირაკლი ღვალაძე – საქპატენტის თავმჯდომარე*
*On the photo: Jorg Oelschlager – Director, GIZ Private Sector Development Program, Irakli Ghvaladze – Sakpatenti Chairman*

vides for simplification of relations between Sakpatenti and its partners and increasing of effectiveness by means of a specialized electronic program. The program represents an up-to-date web based program solution of intellectual property application filing, processing and recording. The system includes the functions of communication with external users as well as Sakpatenti internal procedures, which will significantly accellerate the procedures of application proceeding and granting certificates of protection of both local and international applicants.

In addition to this project, the following events were organized in cooperation with USAID EPI for public awareness raising:

- On 24 February, 2011, in the framework of USAID funded program Economic Prosperity Initiative (EPI), a seminar on intellectual property protection mechanisms was held for the representatives of Sakpatenti at the hotel Courtyard Marriott. The American expert Mr.

გენტოს (USAID) პროგრამის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) ფარგლებში, საქპატენტის თანამშრომლებისთვის სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" გაიმართა სემინარი ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმებზე. ამერიკელმა ექსპერტმა ტიმოთი ტრეინერმა საქპატენტის თანამშრომლებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება გაუზიარა;

- 2011 წლის 13-26 სექტემბერს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) და საქპატენტის მხარდაჭერით ქუთაისსა და ბათუმში ჩატარდა სემინარები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტების სტუდენტებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის. ამერიკელმა ექსპერტმა ტიმოტი ტრეინერმა და საქპატენტის ხელმძღვანელმა პირებმა მსმენელებს გააცნეს ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით ინტელექტუალური საკუთრების თითოეული ობიექტის მნიშვნელობა და მათი დაცვის მექანიზმები.

საქპატენტის წარმომადგენლებმა, ასევე, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა



ევროპის საპატენტო უწყების ტრეინინგი პატენტრწმუნებულებისა და ექსპერტებისათვის
*EPO training for patent attorneys and experts at Sakpatenti*

Timothy Trainer shared experience with the employees of Sakpatenti regarding the issues of intellectual property protection in the USA;

- On September 13-26, 2011, seminars were held in Kutaisi and Batumi for students of Kutaisi Akaki Tsereteli University and Batumi Shota Rustaveli University and representatives of the business sector. American expert Timothy Trainer and Heads of Sakpatenti Departments discussed at the seminar the importance of each object of intellectual property from the viewpoint of business and mechanisms for their protection.

Sakpatenti representatives took part in different events, among them:

- On April 12-13 delegation of the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" visited Vilnius. Sakpatenti delegation took part in the international conference on the occasion of the 20th anniversary of the State Patent Bureau of the Republic of Lithuania. A meeting also took place with Mr. Rimvydas Naujokas, Director of the State Patent Bureau of Lithuania on different issues, among them protection of Geographical Indications and cooperation between the offices.
- On April 21-22, 2011 Sakpatenti delegation visited Astana by the invitation of Intellectual Property Rights Committee of the Ministry of Justice of the Republic of Kazakhstan. During the visit Sakpatenti delegation participated in a session dedicated to the CIS countries common CISPATENT CD-ROM

ლონისძიებაში, კერძოდ:

- 12-13 აპრილს საქპატენტის დელეგაცია იმყოფებოდა ვილნიუსში, სადაც მონაწილეობა მიიღო ლიტვის საპატენტო ოფისის დაარსებიდან 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაში. ლიტვის საპატენტო სამსახურის ხელმძღვანელთან რიმვიდას ნაუიოკასთან გამართულ შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ლიტვაში ადგილწარმოშობის ქართული ღვინოების დაცვის საკითხი.
- 21-22 აპრილს, ყაზახეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების კომიტეტის მიწვევით, საქპატენტის დელეგაცია ასტანას ეწვია, სადაც მონაწილეობა მიიღო ყაზახეთში დსთ-ს ქვეყნების ერთობლივი რეგიონული საპატენტო-ინფორმაციული პროდუქტის CISPATENT CD-ROM დისკის სამრეწველო გამოშვების პროექტის საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მუშაობაში.
- 6-8 ივნისს იტალიაში, ქალაქ მილანში საქპატენტის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო UNESCO-ს მეორე მსოფლიო ფორუმში „კულტურა და კულტურული ინდუსტრია" თემაზე: „მომავლის წიგნი".

## ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა

ევროკავშირთან საქართველოს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში" (1996) და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ესპ) სამოქმედო გეგმაში" გაწერილია ვალდებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული პრაქტიკის განვითარებასა და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას. ვალდებულებების ძირითადი მიმართულებებია: საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; ინსტიტუციონალური კონსოლიდაცია; საზოგადოებრივი ცნობიერების

disc project.

- On 6-8 June, 2011 the Second World Forum on Culture and Cultural Industries, organized by the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization (UNESCO) took place in Milan, Italy on the topic "The Book of Tomorrow, the Future of the Written Word". .

## EU INTEGRATION PROCESS AND INTELLECTUAL PROPERTY PROTECTION

The "Partnership and Cooperation Agreement" with the European Union (1996) and "European Neighborhood Policy (ENP) Action Plan" outlines obligations aimed at development of existing practice in Georgia and bringing it close to European standards. Main directions of obligations are: improving the legal framework; strengthening institutional consolidation; public awareness-raising activities; study of pirated and counterfeit goods production in Georgia and effective dialogue with authorized persons.

In 2011 Sakpatenti cooperated actively with the EU in the relations provided for



*მემორანდუმის გაფორმება ევროპის საპატენტო უწყებასთან*
*Memorandum with European Patent Office (EPO)*
*ფოტოზე: რაიმონდ ლუტცი – ევროპის საპატენტო უწყების ვიცე პრეზიდენტი, ირაკლი ღვალაძე – საქპატენტის თავმჯდომარე*
*On the photo: Raimund Lutz – Vice President of EPO , Irakli Ghvaladze – Sakpatenti Chairman*

ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები; საქართველოში მეკობრეული და ფალსიფიცირებული საქონლის წარმოების შესწავლა და უფლებების მქონე პირებთან ეფექტიანი დიალოგის წარმართვა.

2011 წელს საქპატენტი აქტიურად თანამშრომლობდა ევროკავშირთან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) პროცესითა და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით" (DCFTA) გათვალისწინებულ ურთიერთობებში და ENP-ის სამოქმედო გეგმისა და DCFTA რეკომენდაციების შესაბამისად, რეგულარულად აწვდიდა მას ინფორმაციას მიმდინარე საკანონმდებლო, საგანმანათლებლო და საკოორდინაციო საქმიანობებზე. აღნიშნული მიმართულებებისა და რეკომენდაციების შესრულების შედეგად, 2012 წლის დასაწყისში დაიწყება მოლაპარაკებები საქართველოს და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე".

აღსანიშნავია, რომ გასულ წელსაც საგანმანათლებლო და საკოორდინაციო ფუნქციების გაძლიერების, სახელმწიფოთა გამოცდილებების შესწავლისა და საერთაშორისო ექსპერტთა მოწვევის მიზნით, საქპატენტმა აქტიურად გამოიყე-



*ვიზიტი გერმანიაში ტექტრანსფერის საკითხებზე*
*Visit in Germany on Technology Transfer issues*
*ფოტოზე: დავით თავხელიძე – მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი, სტუ, ლაშა გოცირიძე – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, ნათელა წიკლაშვილი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, დავით ჩუთლაშვილი – თსუ-ს პრორექტორი, იან ბანდერა – შტაინბაის ტექტრანსფერ ცენტრის დირექტორი, გიგი თევზაძე – ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ირაკლი ღვალაძე – საქპატენტის თავმჯდომარე*
*on the photo: David Tavkhelidze – Head of Science Department, GTU, Lasha Gotsiridze – Rector of Georgian Agrarian University, Natela Tsiklashvili – Deputy Rector of Batumi Shota Rustaveli State University, David Chutlashvili – Deputy Rector of Tbilisi State University, Jan Bandera – Director of Steinbeis Technology Transfer Center, Gigi Tevzadze – Rector of Ilia State University, Irakli Ghvaladze – Sakpatenti Chairman*

by European Neighborhood Policy (ENP) process and the Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) and according to the ENP action plan and DCFTA recommendations regularly provided the information on current legislative, educational and coordination activities. As a result of these directions and fulfillment of these recommendations, negotiations on Georgia-EU Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) will start in early 2012.

It should be noted that, last year, for the purpose of strengthening the educational and coordination functions, Sakpatetni actively used the resource of the European Union technical assistance (TAIEX) as well. With the support of TAIEX, Sakpatenti staff members in 2010-2011 participated in study visits to Hungary, Denmark, Sweden and Netherlands.

Noteworthy, the follow up visit of the delegation of the Danish Patent and Trademark Office on 27-28 April, 2011.

Of the events carried out under the aegis of the European Union, the following are noteworthy:

- Study visit of Sakpatenti delegation to Hague, the Netherlands Patent Office (May 23-25);
- Organized by Sakpatenti, EU Delegation to Georgia, the Georgian Copyright Association and the Georgian-European Policy and Advice Center GEPLAC, dedicated to the copyright protection issues with users and authors (October 11,Tbilisi);
- Sakpatenti delegation participated in the EU organized Conference „MANUFUTURE 2011" (October 24-25,Wroclaw,

ნა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების (TAIEX) რესურსიც. TAIEX-ის დახმარების ფარგლებში, საქპატენტის თანამშრომლებმა 2010-2011 წლებში მონაწილეობა მიიღეს სასწავლო მივლინებებში უნგრეთში, დანიაში, შვედეთსა და ჰოლანდიაში. საგულისხმოა, რომ 27-28 აპრილს საქართველოში საპასუხო სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა დანიის საპატენტო უწყების დელეგაცია.

ევროკავშირის ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია:

- საქპატენტის დელეგაციის სასწავლო ვიზიტი ჰააგაში, ნიდერლანდების საპატენტო უწყებაში (23-25 მაისი);
- საქპატენტის, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, საქართველოს ავტორთა საზოგადოებისა და GE-PLAC-ის ერთობლივი ორგანიზებით მოსარგებლეებთან და ავტორებთან გამართული დისკუსია საავტორო უფლებების დაცვის საკითხებზე (11 ოქტომბერი, თბილისი);
- ევროკავშირის ეგიდით გამართული კონფერენცია „MANUFUTURE 2011" (24-25 ოქტომბერი, ვროცლავი, პოლონეთი,).
- კონფერენცია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების საკითხებზე (8 დეკემბერი, თბილისი);
- შეხვედრა ესტონელ ექსპერტთან ბალტიისპირეთის ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრების აღსრულების ეფექტური მექანიზმებისა და მათი დანერგვის შესახებ (3 ოქტომბერი, თბილისი);
- სამუშაო შეხვედრა ბრიუსელში, სადაც საქპატენტის წარმომადგენლები წარსდგნენ ევროკავშირის გენერალური დირექტორატის წინაშე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში DCFTA-ს მოლაპარაკებების გახსნის წინაპირობების შესრულების ანგარიშით (13-14 აპრილი).

მნიშვნელოვანია საქპატენტის მიერ ინსტიტუციური კოორდინაცია სხვადასხვა

Poland);

- Conference held on copyright protection and enforcement issues, with the support of EU Delegation to Georgia (December 8, Tbilisi);
- Meeting in Tbilisi during which an invited expert from Estonia familiarized the participants with the effective mechanisms of intellectual property enforcement and their implementation in the Baltic countries (October 3);
- Working meeting in Brussels during which representatives of Sakpatenti reported to the General Directorate of the European Union on fulfillment of preconditions for opening DCFTA negotiations in the field of intellectual property protection (13-14 April).

Noteworthy institutional coordination of Sakpatenti with various governmental agencies and active dialogue with intellectual property rights holders and users, namely, Georgian Copyright Association, Revenue Service of the Ministry of Finance, Universities, Ministry of Culture and Monuments Protection, Business Association of Georgia and other organizations. Intensive cooperation and joint activities with the Georgian



ევროკავშირის სემინარი საავტორო უფლებათა აღსრულების საკითხებზე, თბილისი
*EU seminar on copyright enforcement issues, Tbilisi*

სამთავრობო უწყებებთან და აქტიური დიალოგი ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მფლობელებთან და მოსარგებლეებთან, კერძოდ საავტორო უფლებათა ასოციაციასთან, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან, უნივერსიტეტებთან, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან და სხვა ორგანიზაციებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია საავტორო უფლებათა ასოციაციასთან ინტენსიური თანამშრომლობა და ერთობლივი ღონისძიებები საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

საგულისხმოა, რომ ავტორთა საზოგადოების რეფორმამ და საქპატენტის მხარდაჭერით ჩატარებულმა პიარაქციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ავტორთა საზოგადოების ცნობადობა ქართულ სახელოვნებო წრეებში, შედეგად, მკვეთრად გაიზარდა სალიცენზიო ხელშეკრულებების რაოდენობა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასა და მოსარგებლეებს შორის. 2011 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა საავტორო უფლებების დარღვევებზე სასამართლოებში წარმოებული საქმეების საერთო რაოდენობა.

2011 წლის განმავლობაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით გადადგმული ფართო სპექტრისა და შინაარსის ნაბიჯების მნიშვნელობა გაცილებით საგრძნობი და თვალსაჩინო გახდება, როდესაც ბიზნესი და საზოგადოება დაიწყებს ამ ნოვაციების შედეგად შექმნილი გაუმჯობესებული სერვისებითა და პროცედურებით აქტიურ სარგებლობას. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, საქპატენტი კვლავაც აგრძელებს აქტიურ მუშაობას ახალ მიმართულებებსა და იმ პროექტებზე, რომელთა განხორციელება დაგეგმილია მომავალი წლისათვის.

Copyright Association for public awareness raising should also be mentioned.

It is noteworthy that the reform of Georgian Copyright Association (GCA) and Sakpatenti PR campaign significantly increased the number of licensing agreements between the Georgian Copyright Association and users, as well as public recognition of the Association in the Georgian art communities. According to the information provided by the Georgian Copyright Association (GCA), which represents authors in court, total number of cases during 2011 increased significantly.

In 2011 effective steps of wide range and content were taken in the field of intellectual property protection. In addition, the impact of these activities, proceeding from the narrow, specialized nature of intellectual property, will become perceptible when business and the public begins to make active use of services rendered and improved procedures as a result of these innovations. Sakpatenti continues taking active steps for strengthening international cooperation. Intensive work is underway on new directions and new project implementation for the next year.



*შეხვედრა საავტორო უფლებების საკითხებზე, თბილისი*
*Meeting on copyright issues, Tbilisi*

# მრავალმხრივი ხელშეკრულებები
## MULTILATERAL AGREEMENTS

| სახელწოდება | მიერთების თარიღი<br>DATE OF ACCESSION | TITLE |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია | 25.12.1991 | The WIPO Convention |
| სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია | 25.12.1991 | The Paris Convention for the Protection of Industrial Property |
| საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება | 25.12.1991 | Patent Cooperation Treaty |
| ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია | 16.05.1995 | The Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works |
| ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის შეთანხმების ოქმი | 20.08.1998 | Protocol Relating to the Madrid Agreement Concerning the International Registration of Marks |
| შეთანხმება ყალბი სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების გამოყენების თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებების შესახებ (დსთ) | 04.06.1999 | Agreement on Measures for Prevention and Repression of use of False Trademarks and Geographical Indications (CIS) |
| შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS შეთანხმება) (ვმო) | 14.06.2000 | Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights (WTO The TRIPS Agreement) |
| შეთანხმება ერთობლივი რეგიონული საპატენტო-საინფორმაციო პროდუქტის ოპტიკურ დისკებზე CD-ROM გამოშვების შესახებ | 22.05.2001 | Agreement on production of joint regional patent-information product on optical discs CD-ROMs |
| ისმო-ს საავტორო უფლებების ხელშეკრულება | 06.03.2002 | The WIPO Copyright Treaty |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| ᲘᲡᲛᲝ-ს შესრულებებისა და ფონოგრამების ხელშეკრულება | 20.05.2002 | The WIPO Performances and Phonograms Treaty |
| საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ნიცის შეთანხმება ნიშნების რეგისტრაციის მიზნებისათვის | 28.02.2003 | The Nice Agreement Concerning the International Classification of Goods and Services for the Purposes of the Registration of Marks |
| სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმება | 01.08.2003 | The Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ჰააგის შეთანხმების ჟენევის აქტი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ | 23.12.2003 | The Geneva Act of the Hague Agreement Concerning the International Registration of Industrial Designs |
| ადგილწარმოშობის დასახელებების დაცვისა და მათი საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ლისაბონის შეთანხმება | 23.09.2004 | The Lisbon Agreement for the Protection of Appellations of Origin and their International Registration |
| საერთაშორისო კონვენცია შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ (რომის კონვენცია) | 14.08.2004 | International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations (The Rome Convention) |
| ბუდაპეშტის ხელშეკრულება საპატენტო პროცედურების მიზნებისათვის მიკროორგანიზმთა დეპონირების საერთაშორისო აღიარების შესახებ | 30.09.2005 | The Budapest Treaty on the International Recognition of the Deposit of Microorganisms for the purposes of the Patent Procedure |
| მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV-ის კონვენცია) | 29.10.2008 | The International Union for the Protection of New Varieties of Plants (UPOV) |

# ორმხრივი ხელშეკრულებები

# BILATERAL AGREEMENTS

| სახელწოდება<br>უწყებათაშორისი შეთანხმებები | ხელმოწერის თარიღი<br>DATE OF SIGNING | TITLE<br>INTEROFFICE AGREEMENTS |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| ოქმი საქართველოს რესპუბლიკის საპატენტო უწყების დელეგაციის ავსტრიის საპატენტო უწყებაში ოფიციალური ვიზიტის შესახებ | 03.09.1993 | Protocol of Visit of the Patent Office of Georgia to the Patent Office of Austria |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ საქართველოს საპატენტო უწყებასა და გერმანიის საპატენტო უწყებას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით | 17.10.1997 | Memorandum of Understanding on the negotiations between the Georgian Patent Office and the German Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნულ ინსტიტუტს შორის ძირითადი და ტექნიკური დოკუმენტაციის გაცვლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 15.01.1998 | Agreement on Cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ″Sakpatenti″ and the National Industrial Property Institute of France in the Field of Main and Technical Documentation Exchange |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და თურქეთის საპატენტო ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის შესახებ | 13.03.1998 | Cooperation Agreement between the Turkish Patent Institute and the Georgian Patent Office |
| შეთანხმება საქართველოს საპატენტო უწყებასა და რუმინეთის საპატენტო უწყებას შორის თანამშრომლობის შესახებ | 01.07.1998 | Agreement on Cooperation between the Patent Office of Georgia ″Sakpatenti″ and the Patent Office of Romania |
| პროტოკოლი განზრახვის შესახებ საპატენტო დაწესებულებებს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით (აზერბაიჯანის, თურქეთის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მონღოლეთის, ტაჯიკეთის რესპუბლიკებს შორის). | 12.11.1998 | Protocol of Intent concerning cooperation among the patent institutions on the protection of industrial property (Between Republic of Azerbaijan, Georgia, Republic of Kazakhstan, Republic of Kyrgyzstan, Mongolia, Republic of Tajikistan, Republic of Turkey) |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ბულგარეთის საპატენტო უწყებას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 31.05.2001 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ″Sakpatenti″ and the Patent Office of the Republic of Bulgaria on Cooperation in the field of Industrial Property. |
| შეთანხმება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და ლატვიის საპატენტო უწყებას შორის ინფორმაციის გაცვლაზე. | 26.05.2006 | Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ″Sakpatenti″ and the Patent Office of Latvia on Information Exchange. |
| მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო ბიუროსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს შორის . | 16.06.2008 | Memorandum of Understanding between the State Patent Bureau of the Republic of Lithuania and the National Intellectual Property Center of Georgia. |

| 1 | 2 | 3 |
|---|---|---|
| შეთანხმება საქართველოსა და უნგრეთის საპატენტო უწყებებს შორის თანამშრომლობაზე. | 22.09.2010 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and Hungarian IP Office. |
| თანამშრომლობის პროგრამა საქპატენტსა და ევროპის საპატენტო უწყებასა და საქპატენტს შორის | 09.02.2011 | Program of Cooperation Activities between Sakpatenti and the European Patent Office |
| ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი შეერთებული შტატების პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტს შორის | 4.05.2011 | Memorandum of Bilateral Cooperation Between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the United States Patent and Trademark Office |
| შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრსა და დანიის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების უწყებას შორის | 26.09.2011 | Agreement on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the Danish Patent and Trademark Office |
| ოქმი თანამშრომლობის შესახებ ისრაელის საპატენტო უწყებასა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს" შორის | 28.09.2011 | Declaration of Intent on the cooperation between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti'' and the Israel Patent Office |
| საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ საქპატენტსა და ბელორუსის რესპუბლიკის ინტელექტუალური საკუთრების ცენტრს შორის შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ | 24.11.2011 | Memorandum of Understanding between the National Intellectual Property Centre of Georgia ''Sakpatenti''and the National Intellectual Property Centre of the Republic of Belarus |
| თანამშრომლობის შეთანხმება ისმოსა და საქპატენტს შორის ინტელექტუალური საკუთრების ოფისის ბიზნეს სერვისების განვითარების (IPAS) შესახებ | 29.09.2011 | WIPO Cooperation Agreement between the National Intellectual Property Center of Georgia ''Sakpatenti'' and the World Intellectual Property Organization for the Development of Intellectual Property Office Business Services |
| ოქმი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშეწყობის ცენტრების (TISC) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ | 30.09.2011 | WIPO Cooperation Agreement on establishment of Technology and Innovation Support Centers (TISCs) |

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| მთავრობათაშორისი შეთანხმებები | | INTERGOVERNMENTAL AGREEMENTS |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 28.05.1996 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of the Republic of Uzbekistan in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 11.11.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Kazakhstan in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 05.12.1997 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Turkmenistan in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 21.09.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Government of the Republic of Armenia in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 07.12.1998 | Agreement on Cooperation between the Executive Authority of Georgia and the Cabinet of Ministers of Ukraine in the Field of Industrial Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. | 11.02.2004 | Agreement on Cooperation between the Government of Georgia and the Government of Russian Federation in the Field of Intellectual Property Protection. |
| შეთანხმება საქართველოსა და უკრაინას შორის ღვინის, სპირტიანი სასმელისა და მინერალური წყლის გეოგრაფიული აღნიშვნების სამართლებრივი ურთიერთდაცვის შესახებ | 01.03.2007 | Agreement on Cooperation between Georgia and Ukraine on Mutual Legal Protection of Geographical Indications of Wines, Spirits and Mineral Waters |
| შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ | 20.05.2009 | Agreement between the Government of Georgia and Government of Republic of Azerbaijan on the protection of Industrial Property |

# მემორანდუმები

MEMORANDUMS

| სახელწოდება | ხელმოწერის თარიღი DATE OF SIGNING | TITLE |
|---|---|---|
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქპატენტს შორის | 26.04.2010 | Memorandum of Understanding between Ivane Javakhishvili Tbilisi State University and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 17.07.2010 | Memorandum of Understanding between the Business Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ღვინის ასოციაციასა და საქპატენტს შორის | 15.12.2010 | Memorandum of Understanding between the Wine Association of Georgia and Sakpatenti |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასათან (GIZ) ტექნოლოგიების გადაცემის ხელშეწყობის შესახებ | 25.01.2011 | Memorandum of Understanding with the GIZ on support on Technology and Innovation Transfer in German International Cooperation |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან | 7.02.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian State Agrarian University |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ბიზნეს პროგრამების ალიანსთან | 5.04.2011 | Memorandum of Understanding with the Business Software Alliance |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან | 4.05.2011 | Memorandum of Understanding with the Office of the State Minister of Georgia for Diaspora Issues |
| ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან | 22.06.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian National Museum |
| თანამშრომლობის მემორანდუმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Ilia State University |
| თანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 11.11.2011 | Memorandum of Understanding with the Georgian Technical University |

# საინფორმაციო საქმიანობა
# INFORMATION ACTIVITY

## ვებგვერდი
## WEBSITE

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კვლავაც წამყვან საშუალებად რჩება საქპატენტის ვებგვერდი. ვებგვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილია ინფორმაცია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საქართველოში დაცვის სამართლებრივი ასპექტების შესახებ. სიახლეები და ინფორმაცია უწყების საქმიანობის შესახებ, ეროვნული მონაცემთა ბაზები, ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, პატენტრწმუნებულთა საკონტაქტო მონაცემები და განმცხადებლისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია.

2011 წელსაც საქპატენტის ვებგვერდი გამოირჩეოდა ინფორმაციული თვალსაზრისით, გრძელდებოდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენების, იურიდიული ხასიათის მასალების, სიახლეებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ოპერატიულად განთავსება. ამასთანავე, პერმანენტულად ახლდებოდა სამრეწველო საკუთრების ობიექტების მონაცემთა ბაზები ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საგულისხმოა, რომ გასულ საანგარიშო წელს, საქპატენტის ვებგვერდზე განხორციელდა სხვადასხვა ტექნიკური და ინფორმაციული ხასიათის ცვლილება, კერძოდ:

- განსათავსებელი ინფორმაციის ზრდის შესაბამისად, მოხდა მთელი რიგი ძვე-

Website of Sakpatenti remains the means of access to information on intellectual property in Georgia. The website contains information about the legal aspects of protection of intellectual property in Georgia in two languages, Georgian and English, news and information about the Office activities, national databases, legislation regulating the intellectual property field, contact details of patent attorneys and other necessary information for applicants.

From the viewpoint of information publishing the website of Sakpatenti was regularly updated with news in 2011. The Official Bulletin of Industrial Property, legal materials, important news and other information were published on the website. At the same time, databases of industrial property objects in the Georgian and the English languages were updated permanently.



ლი მენიუების რეორგანიზაცია და ახალი მენიუებისა და ბმულების დამატება (მაგ.: აპელაციები, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნები და სხვ.), რის შედეგადაც ვებგვერდი მომხმარებლისათვის უფრო ინფორმაციულად ტევადი და გამოსაყენებლად მოსახერხებელი გახდა;

- განხორციელდა განმცხადებელთათვის მეტად მნიშვნელოვანი ქართულენოვანი მასალების საძიებო მექანიზმებით უზრუნველყოფა და განთავსება, რამაც საშუალება მისცა ვებგვერდის მომხმარებელს მოახდინოს ძიება მაგალითად, საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო კლასიფიკაციის ქართულ ვერსიაში, საქპატენტის ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალში და სხვა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მოხდა ვებგვერდზე განთავსებული სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზის მოდერნიზაცია. კერძოდ, ამიერიდან მომხმარებელს შეუძლია ჩაატაროს ძიება სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში არა მხოლოდ რეგისტრირებულ ნიშნებზე, არამედ რეგისტრაციამდე, ჯერ კიდევ განაცხადის ეტაპზე და ნებისმიერ მომენტში მიიღოს ინფორმაცია კონკრეტული განაცხადის პროცედურული სტატუსის შესახებ;
- 2011 წლიდან დაიწყო ვებგვერდზე გრაფიკული მასალების განთავსება თანამედროვე AJAX ტექნოლოგიების გამოყენებით, რამაც უფრო მეტად სრულყო გრაფიკული ინფორმაციის აღქმის ხარისხი.

Noteworthy, in the reporting year, various changes of technical and informative character were made on the Sakpatenti website, namely:

- In accordance with the flow of information to be published, arrangement of a number of menus were reorganized and a new menus and links were added (e.g. appeals, the registered geographical indications, etc.), as a result the website became more informative and convenient to use;
- Search mechanisms were provided for the Georgian language materials, which is very significant for applicants and allows users to search, for example, in the Georgian version of the International Classification of Goods and Services, as well as in the list of the literature available in the intellectual property library at Sakpatenti;
- In accordance with the modern requirements, the database of trademarks published on the website was updated. In particular, users can now conduct searches in the trademarks database not only for registered marks, but also before registration, at the stage of application, and can at any moment receive information on the procedural status of a particular application;
- Graphic materials (images) are published on the website by means of modern AJAX technologies, resulting in improved quality of perception of graphic information.

# საგამომცემლო საქმიანობა
# PUBLISHING ACTIVITY

საპატენტო ინფორმაციის გავრცელებისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოებაში ცოდნის ამაღლების მიზნით, საქპატენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საგამომცემლო საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს საქპატენტის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება თანამედროვე პოლიგრაფიული დანადგარებით აღჭურვილი სტამბის მეშვეობით.

ისევე, როგორც ისმო-ს წევრი ყველა ქვეყნის საპატენტო უწყება, პარიზის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ქართულ ენაზე გამოსცემს „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენებს”.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში, საერთაშორისო კლასიფიკაციებისა და ისმო-ს სტანდარტების შესაბამისი ინდექსების გამოყენებით, რეგისტრაციამდე და რეგისტრაციის შემდგომ, ქვეყნდება იმ ობიექტების მონაცემები, რომლებზეც გამოტანილია ექსპერტიზის დადებითი გადაწყვეტილება. ბიულეტენშივე ქვეყნდება ოფიციალური შეტყობინებები, სადაც თავს იყრის ყველა ინფორმაცია რეესტრში შეტანილი ცვლილებების შესახებ (მფლობელის სახელისა და მისამართის ცვლილება, რეგისტრაციის ბათილად ცნობა, გაუქმება, უფლებების გადაცემა და სხვ.). ყველა ბიულეტენი აღჭურვილია სისტემური საძიებლებით, რომელთა საშუალებით შესაძლებელია გამოქვეყნებული ობიექტების მოძიება სხვადასხვა მონაცემის მიხედვით.

სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი გამოდის თვეში ორჯერ, ზუსტად განსაზღვრულ დღეებში. ბიუ-

For the purpose of dissemination of patent information and raising public awareness in the intellectual property field, publishing activity is one of the significant basic directions of Sakpatenti activity. It is carried out by the Editorial-Publishing Division of Sakpatenti by means of the printing-office equipped with modern polygraphic facilities.

According to the requirements of the Paris Convention, the National Intellectual Property Center of Georgia Sakpatenti, similar to IP office of all member states of WIPO, publishes the Official Bulletin of Industrial Property.

With the use of international classifications and relevant indexes of WIPO standards, in the Official Bulletin of Industrial Property the data are published, pre and post registration, concerning objects for which a favourable decision of examination is taken. All information on changes recorded in the Register (change of owner's name and address, cancellation of registration, nullity, transfer of rights, etc.) are also published in the Bulletin. Each issue of Bulletin is printed with classification indexes, which allows searching published objects according to various data.

The Official Bulletin of Industrial Property is issued twice a month, on definite days. The date of publication of the Bulletin (the 10th and 25th of each month) has legal significance, as from this date the terms will be counted

ლეტენის გამოსვლის თარიღს (ყოველი თვის 10 და 25 რიცხვი) იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ ამ დღიდან აითვლება ის ვადები, რომლის განმავლობაშიც მესამე პირებს შესაძლებლობა აქვთ ექსპერტიზის გადაწყვეტილებები გაასაჩივრონ სასამართლოში ან საქპატენტის სააპელაციო პალატაში.

2011 წელს გამოიცა გეგმით გათვალისწინებული 24 ქართულენოვანი ბიულეტენი, რომელთა ელექტრონული ვერსიები იმავე დღეს განთავსდა საქპატენტის ვებგვერდზე. როგორც წესი, 2011 წელს გამოცემული სამრეწველო საკუთრების ყველა ოფიციალური ბიულეტენი ითარგმნა და შეიქმნა შესაბამისად 24 ორენოვანი (ინგლისურ/რუსული) ელექტრონული ვერსია. მათი გაცნობა, აგრეთვე, შესაძლებელია საქპატენტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ნაწილის განყოფილებაში „Publications". ტრადიციისამებრ, ყველა გამოცემა უსასყიდლოდ გავრცელდა მსხვილ ბიბლიოთეკებსა და სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, ხოლო ელექტრონული ვერსიები (CD დისკებით) დაიგზავნა უცხოეთის საპატენტო უწყებებში.

გარდა სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენისა, საქპატენტი ქართულ და ინგლისურ ენებზე პერიოდულად გამოსცემს მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის ოფიციალურ ბიულეტენებსაც. მათი გამოცემა დამოკიდებულია ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტის, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის რეგისტრაციის მოთხოვნით შემოსული განაცხადების რაოდენობაზე. გასულ 2011 წელს გამოიცა ახალი ჯიშების ბიულეტენის 3 ნომერი, რომლებიც დაიგზავნა პროფილურ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. ფართო საზოგადოებისათვის კი ყველა ნომერი ხელმისაწვდომია საქპატენტის ბიბლიოთეკაში

during which third parties may oppose decisions of the examination at Court or the Chamber of Appeal of Sakpatenti.




In 2011 the scheduled 24 Georgian-language issues of the Bulletin were printed, the English version of which were published on the Sakpatenti website on the same day. As a rule, all issues of the Official Bulletin published in 2011 were translated and accordingly 24 bilingual (English-Russian) electronic versions were created. They are also available in the "Publications" section of the English version of the Sakpatenti website. Traditionally, all issues were disseminated free of charge to major libraries and educational and research institutions and the electronic version (on CD-ROMs) were sent to foreign patent offices.

Along with the Official Bulletin of Industrial Property, Sakpatenti periodically issues in the Georgian and English languages Official Bulletin for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds, in which information is offered concerning the number of applications

და ვებგვერდზე.

სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებაში მიმდინარე სამუშაოთა დიდ ნაწილს მოიცავს გამოგონების, სასარგებლო მოდელებისა და დიზაინის ადგილობრივი თუ საერთაშორისო განაცხადების აღწერილობებისა და რეფერატების რედაქტირება. გასულ წელს ამ სამუშაოებმა მოიცვა 700-ზე მეტი აღწერილობა და რეფერატი. განყოფილებაში მიმდინარეობს, ასევე, დსთ-ს საერთაშორისო CD-ROM დისკზე განსათავსებელი ბიბლიოგრაფიული მონაცემებისა და რეფერატების რედაქტირება სამ ენაზე. 2011 წელს, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, დამუშავდა 300-მდე გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის აღწერილობა.




აღსანიშნავია, რომ საქპატენტი სისტემატურად გამოსცემს დარგობრივ ლიტერატურას, კანონთა კომენტარებსა და საცნობარო პუბლიკაციებს, რითაც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას და ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ფონდის გამდიდრებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა 2011 წლის განმავლობაშიც. კერძოდ, გამოიცა ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაცია (ვენის კლასიფიკაცია), რომელიც წარმოად-

filed with the request of registration of one of the significant IP objects – a new plant variety and animal breed. In 2011 3 issues of the Official Bulletins for the Protection of New Plant Varieties and Animal Breeds where published and sent to profile research institutions. All issues are available to general public at the Sakpatenti library and website.

A major part of works at the Editorial-Publishing Division covers editing of specifications and abstracts of local and foreign applications for inventions, utility models and designs. In the reporting year more than 700 specifications and abstracts were edited. The bibliographic data and abstracts to be published on the international CD-ROM of the CIS countries are also edited in three languages. In 2011 specificaions of up to 300 inventions and utility models were processed according to the standard.

It is noteworthy that Sakpatenti systematically publishes branch literature, commentaries to laws and reference publications, thereby facilitating raising public awareness in the intellectual property field and enrichment of the collection of Georgian scientific literature. Significant works were carried out in this direction in 2011 as well. In particular, the International Classification of the Figurative Elements of Marks (Vienna Classification) was published, which represents an authentic Georgian translation of the sixth edition of the Classification officially published by WIPO. The Georgian version of the Vienna Classification will assist Sakpatenti examiners and patent attorneys as well as other interested persons in

გენს ისმო-ს მიერ ინგლისურ ენაზე ოფიციალურად გამოცემული კლასიფიკაციის მეექვსე რედაქციის ავთენტიკურ თარგმანს. ვენის კლასიფიკაციის ქართულ ენაზე გამოცემა დაეხმარება, როგორც საქპატენტის ექსპერტებსა და პატენტრწმუნებულებს, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებს საქპატენტის ვებგვერდზე განთავსებულ სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზაში გამოსახულებითი ელემენტების შემცველი ნიშნების მოძიებაში.




მნიშვნელოვანია, რომ 2011 წელს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ გამოიცა წიგნი „დიზაინის სამართალი“, რომელიც მოიცავს დიზაინის დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს. წიგნის გამოცემა განაპირობა 2010 წლის 24 ივნისს დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედებამ, რადგან საჭირო გახდა ახალი ცნებების, დაცვისუნარიანობის ახალი კრიტერიუმებისა და უფლებების მოპოვებისა და განხორციელების ახლებური მიდგომების გაანალიზება და ფართო მკითხველისათვის გასაგები ენით მიწოდება. წიგნის ავტორია ინტელექტუალური საკუთრების ღვაწლმოსილი სპეციალისტი, არაერთი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ძამუკაშვილი. წიგნი „დიზაინის სამართალი” დიდ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ქართველ დიზაინერებს

searching for marks containing figurative elements in the Register of Trademarks published on the website of Sakpatenti.

It is significant that in 2011 the National Intellectual Property Center of Georgia "Sakpatenti" published a book "Design Law" with the content of legal grounds of design protection. The publishing of the book was due to enactment of the new Law of Georgia of Design on June 24, 2010, as it became necessary to analyze new concepts, new criteria of protectability and new approaches of rights acquisition and enforcement and providing to a wide range of readers in a clear manner. The author of the book, Professor David Dzamukashvili is merited intellectual property specialist, author of numerous books and monographs, Doctor of Law. The book Design Law will be of assistance to Georgian designers in their own rights enforcement and management as well as specialists of the given field, lawyers and all interested persons.

Every year Sakpatenti publishes its annual report. Last year the Annual Report of Sakpatenti for 2010 was published, in which statistical data of the work carried out by each department of Sakpatenti during the year according to the basic directions of the activity were reflected.

At the end of the reporting year, a wall calendar for 2012 was published on the topic of Georgian appellations of origin and geographical indications. This stressed the fact that protection of Georgian appellations of origin and geographical indications remains one of the priorities of Sakpatenti activities.

საკუთარი უფლებების განხორციელებისა და მართვის საქმეში, არამედ დარგის სპეციალისტებს, იურისტებსა და ყველა დაინტერესებულ პირს.

საქპატენტი ყოველწლიურად გამოსცემს წლიურ ანგარიშს. გასულ წელს გამოიცა საქპატენტის 2010 წლის ანგარიში, რომელშიც აისახა თითოეული დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების სტატისტიკური მონაცემები საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

წლის ბოლოს გამოიცა 2012 წლის კედლის კალენდარიც, რომლის თემა ამჟამად იყო ქართული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, რითაც ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ საქპატენტის საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა.

საქპატენტის პოლიგრაფიის საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, პერმანენტულად მიმდინარე ბეჭდვითი სამუშაოები, რათა უწყება უზრუნველყოფილ იქნეს საქმისწარმოების თითოეულ ეტაპზე საჭირო დოკუმენტებით (საპატენტო სიგელები, მოწმობები, საფირმო ბლანკები, დამცავი დოკუმენტების ყდები, მისალოცი და სავიზიტო ბარათები და სხვ.). აქვე მრავლდება და იკინძება რეგისტრირებული პატენტების აღწერილობები, რომლებიც გაიცემა დამცავ დოკუმენტებთან ერთად.

საქპატენტში არსებული, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი, საუწყებო სტამბა საშუალებას გვაძლევს უმოკლეს დროში გამოვცეთ არა მხოლოდ სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები და დარგობრივი ლიტერატურა (წიგნები, ჟურნალები და ბროშურები), არამედ ყველა საჭირო ფორმატის ევროპული სტანდარტის პოლიგრაფიული პროდუქცია.

სტამბაში მიმდინარე გეგმიური გამო-

A significant part of the Sakpatenti polygraphic activity is the permanent printing work in order to provide the Office with documents necessary at every stage of proceedings (patents, certificates, letterheads, covers for titles of protection, greeting and visiting cards, passes, etc.).




Specifications of registered patents are also multiplied and bound here, which are issued with titles of protection.

The printing-office, equipped with modern polygraphic facilities, allows issuing over a short period of time not only official bulletins of industrial property and special literature (books, journals and brochures), but also European-standard polygraphic production in necessary format.

Along with current planned publications, the printing-office publishes advertising and reference materials for events organized jointly by Sakpatenti and various state, non-governmental and educational institutions.

In 2011, an Illustrated triplet on Appellations of Origin of Georgian Wines were published and disseminated at the IV International Exhibition of Wine and Spirits WinExpo Georgia 11, held at the exhibition pavilion Expo-Georgia on June 2-4, 2011.

ცემების გარდა, იბეჭდება სარეკლამო და საცნობარო ხასიათის გამოცემები იმ ერთობლივი ღონისძიებებისათვის, რომლებიც ორგანიზებულია საქპატენტი-სა და სხვადასხვა სახელმწიფო, არასამ-თავრობო თუ სასწავლო დაწესებულე-ბების მიერ. ასე მაგალითად, გამოიცა ტრიპლეტი „ქართული ღვინის ადგილ-წარმოშობის დასახელებები", რომელიც გავრცელდა 2-4 ივნისს საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში" გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების IV საერთაშორისო გამოფენაზე "WinExpo Georgia 11".

გასულ წელს საქპატენტის სტამბაში საფრანგეთში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით დაიბეჭდა აფიშები და პროგრამები; ფლაერები საქართველოს ხელოვან შემსრულებელთა აქციისათვის ,,არ მოიპარო სიმღერა"; ასევე გამოიცა ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართ-ლებრივი საკითხების ქართულ-ევროპუ-ლი საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC), საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციისა და საქპატენტის ერთობ-ლივი ღონისძიებისათვის – საინფორ-მაციო ფლაერი „საავტორო უფლებათა დაცვა"; განათლების სამინისტროსა და ჩაღლარის სასწავლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებული „ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა VI საერთაშორისო ოლიმპიადის" – კატალოგი და აფიშები. ასევე, საქპატენტმა თავისი მოკრძალე-ბული წვლილი შეიტანა, ნიდერლანდში საქართველოს საელჩოსა და პირველი ლედის, ქალბატონ სანდრა ელისაბედ რულოფსის მიერ ორგანიზებულ საქარ-თველოს დღეების გამართვაში, რისთ-ვისაც დაიბეჭდა სხვადასხვა ღონისძიე-ბაზე მოსაწვევი ბარათები და ქართული ღვინის დეგუსტაციაზე გასავრცელებე-ლი ფურცლები მონაწილე კომპანიათა მითითებით.

Last year Sakpatenti printing house published postcards and programs on the occasion of the "Georgian Days" in France; flyers for the campaign of Georgian performers: "Don't Steal the Song"; information flyer Copyright Protection was also printed for the joint event of the Georgian-European Policy and Advice Center (GEPLAC), the Georgian Copyright Association and Sakpatenti; catalogue and posters for the 6th International Olympiad of Young Scientists and Inventors, organized by the Ministry of Education and Chaglar Educational Institutions. Along with this, Sakpatenti made its humble contribution to "Georgian Days", organized by the Embassy of Georgia to the Kingdom of Netherlands and the First Lady of Georgia Mrs. Sandra Elisabeth Roelofs. Invitation cards were printed to various events and leaflets with the indication of participating companies for dissemination at Georgian wine sampling.



საქპატენტის პოლიგრაფიაში
At Sakpatenti Publishing House

# ბიბლიოთეკა
# LIBRARY

საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საზოგადოების ინფორმირებისა და ცოდნის გავრცელების საქმეში დიდ როლს ასრულებს საქპატენტის ბაზაზე არსებული ინტელექტუალური საკუთრების ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკაში დაცულია ადგილობრივი და უცხოური საპატენტო ინფორმაციის უნიკალური და მუდმივად განახლებადი ფონდი. ამჟამად, ბიბლიოთეკაში არსებული ეროვნული საპატენტო ფონდი მოიცავს გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტების 7200-მდე აღწერილობას, რომლებიც ინახება ელექტრონულ მატარებლებზე, სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენებისა და საერთაშორისო კლასიფიკატორების შესაბამისად შედგენილი სისტემური და ნუმერაციული კატალოგების სახით. საზღვარგარეთის ქვეყნების საპატენტო ინფორმაცია კი ინახება CD და DVD-ROM დისკებზე, რომელთა საერთო რაოდენობამ 2011 წლისათვის 11900 ერთეული შეადგინა. მათ შორისაა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების, ავსტრიის, რუსეთის, აშშ-ს, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების საპატენტო დოკუმენტაცია.

ბიბლიოთეკის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია საპატენტო ინფორმაციის საძიებო სხვადასხვა მონაცემთა ბაზა. კერძოდ: ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზები (INPADOC და ESPACENET), ევრაზიის საპატენტო ორგანიზაციის (EAPATIS), აშშ-ს საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების, როსპატენტის, გერმანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყების (DEPATISNET) მო-

The Intellectual Property Library, functioning on the basis of Sakpatenti, plays an important role in public awareness raising and dissemination of knowledge in the intellectual property field in Georgia.

A unique and ever-renewable collection of local and foreign patent information is preserved at the library. The national patent collection housed at the library at present includes up to 7200 specifications of inventions and utility models, stored on electronic carriers, in the form of system and numeration catalogs compiled in accordance with the Official Bulletins of Industrial Property and International Classifications. Patent information of foreign countries is preserved on CD and DVD-ROM discs the total number of which reached 11900 by 2011. Of these are: patent documentation of the World Intellectual Property Organization, the European Patent Office, Austria, Russia, USA, France, Japan and other countries.



ნაცემთა ბაზები, აგრეთვე, აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების რეგიონის პატენტები (ESPACE PRECES) და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლისათვის დაგეგმილია საქპატენტის ბიბლიოთეკის მიერთება საპატენტო ინფორმაციის კიდევ ერთ საძიებო GPI (Global Patent Index) სისტემასთან.



*საქპატენტის ბიბლიოთეკაში*
*At Sakpatenti Library*

საქპატენტის ბიბლიოთეკაში მკითხველთათვის ხელმისაწვდომია ინტელექტუალური საკუთრების სფეროსთან დაკავშირებული ქართულ და უცხო ენებზე გამოცემული 1500-ზე მეტი დასახელების დარგობრივი ლიტერატურა: ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის პუბლიკაციები, საერთაშორისო კლასიფიკაციები, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები და ცნობარები, მათ შორის საქპატენტის გამოცემებიც – სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენები, სისტემური საძიებლები, წლიური ანგარიშები, ქართულ ენაზე ნათარგმნი საერთაშორისო კლასიფიკაციები, წიგნები, ჟურნალები და ბროშურები.

მნიშვნელოვანია, რომ 2011 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ელექტრონული საძიებო ბაზა, რომელიც განთავსდა ინტელექტუა-

At the library visitors can access various search databases of patent information, in particular: databases of the European Patent Office (INPADOC and ESPACENET), the database of the Eurasian Patent Organization (EAPATIS), the databases of the United States Patent and Trademark Office, ROSPATENT, the German Patent and Trademark Office (DEPATISNET), as well as patents from the region of Eastern and Central European states (ESPACE PRECES), etc. Noteworthy, in 2012 joining of Sakpatenti library to one more patent information search database GPI (Global Patent Index) system.

At the library more than 1500 titles of related intellectual property literature published in the Georgian and foreign languages are available to readers: publications of the World Intellectual Property Organization, international classifications, scientific and technical literature, encyclopedias, dictionaries and reference books, among these are Sakpatenti publications as well - Official Bulletins of Industrial Property, classification indexes, annual reports, international classifications, books, journals and brochures translated in the Georgian language.

It is significant that in 2011 an electronic search database was formed at the library, which was published on the official website of the National Intellectual Property Center. Interested persons have opportunity to receive information on the library collection stored at Sakpatenti.

Noteworthy enough, library visitors can receive free primary consultation on

ლური საკუთრების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე. ახლა უკვე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია საქპატენტში არსებული საბიბლიოთეკო ფონდის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის ყველა მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს უფასო პირველადი კონსულტაცია სამრეწველო საკუთრების დაცვისუნარიანი ობიექტების გამოსავლენად, ასევე, სხვადასხვა მონაცემთა ბაზით სარგებლობისა და განაცხადის სწორად გაფორმების შესახებ. აქ პოტენციურ განმცხადებელს ეხმარებიან სარეგისტრაციოდ წარსადგენი საპატენტო ობიექტის საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისი ინდექსებისა და სასაქონლო ნიშნის საქონლისა და მომსახურების კლასების განსაზღვრაში, სურვილის შემთხვევაში კი უმზადებენ პატენტის აღწერილობებისა და დარგობრივი ნორმატიული დოკუმენტაციის ასლებს.

2011 წელს ბიბლიოთეკის მომსახურებით ისარგებლა 200-ზე მეტმა დაინტერესებულმა პირმა და პოტენციურმა განმცხადებელმა. მათ შორის იყვნენ: გამომგონებლები, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, მეცნიერმუშაკები, სტუდენტები და პენსიონერები.



the identification of protectable industrial property objects, on using various databases and drafting an application properly. Assistance is rendered to potential applicants in identification of relevant indexes of the international classification of a patent object to be submitted for registration and classes of goods and services of a trademark. Copies of patent specifications and related legal acts are prepared for them upon request.

In 2011 more than 200 interested persons and potential applicants used library service, among them: inventors, representatives of small and medium-sized enterprises, research workers, students and retirees.

# ინფორმაციული ტექნოლოგიები
# INFORMATION TECHNOLOGIES

2011 წლის დასაწყისში შეიქმნა საქპატენტის საინფორმაციო სისტემების ახალი სტრატეგია, რომელიც მოიცავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქმისწარმოებისთვის აუცილებელ მონაცემთა დამუშავების, გამოყენების, შენახვისა და მართვის არსებული მდგომარეობის შესწავლასა და განვითარების პერსპექტივებს თანამედროვე ტექნოლოგიურ ბაზაზე მონაცემთა მიგრაციის გათვალისწინებით. შესაბამისად, განისაზღვრა მთელი რიგი ამოცანები არსებული ინფრასტრუქტურის შეცვლისა და გადახალისების მიზნით.

